# აჭარა

გამოცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№34 (25.058) შაბათი, 1 - 3 აპრილი, 2023 წ. 50 თეთრი


## გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით



დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 10-15, მაღალ მთაში - 5-10 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 10 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 762 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

## კრიალოსა N იუსი

საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე პარლამენტსა და ხალხს მიმართა. სალომე ზურაბიშვილმა სიტყვით გამოსვლისას ხელისუფლება გააკრიტიკა იმისთვის, რომ არ განახორციელა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი სასამართლო რეფორმა და საგარეო კურსიდანაც გადაუხვია. მისი თქმით, „ხელისუფლების საგარეო კურსის ფერისცვალება 2021 წელს იწყება, როდესაც ქართულ პოლიტიკას ტოვებს „ქართული ოცნების" მაშინდელი პარტიის თავმჯდომარე ბატონი ბიძინა ივანიშვილი, აქ იწყება დიდი გაუგებრობა იმაზე, თუ ვინ არის პასუხისმგებელი ამ ახალ კურსზე".

* * *

ხელისუფლების მხრიდან ყველაფერი გაკეთდა და კეთდება იმისათვის, რომ ყველა ვალდებულება პირნათლად შესრულდეს 12 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ანტიკორუფციული ბიუროს პრეზენტაციაზე. მისი თქმით, 12-პუნქტიანი გეგმის მეოთხე ნაწილი სწორედ ანტიკორუფციული მექანიზმის გაძლიერებას გულისხმობდა, რისთვისაც აღნიშნული უწყება შეიქმნა.

* * *

არსებობს გლობალური ომის პარტია, რომელსაც აქვს ინტერესი, მაქსიმალურად გახანგრძლივდეს უკრაინაში პირველი ფრონტი, საქართველოში გაიხსნას მეორე ფრონტი, სამხედრო კონფლიქტი შეიძლება მათი სურვილის მიხედვით გადავიდეს სხვა ქვეყნებში - ქართული საზოგადოება უნდა იყოს ფხიზლად! - ასე გამოეხმაურა „ქართული ოცნების" თავმჯდომარე თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანის განცხადებას, რომ „ბოლო ორი წელი თურქეთის ძალისხმევა რომ არ ყოფილიყო, დასავლური კლუბი თურქეთს რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაითრევდა". ირაკლი კობახიძის თქმით, ქართულმა საზოგადოებამ საქართველოს უკრაინიზაცია არ უნდა დაუშვას.

* * *

ბოლო წლის განმავლობაში, ხელისუფლება რეალურად ქვეყანას ომის რეჟიმში ამყოფებს. მოსახლეობას გამოგონილი ომის თემით ატერორებს. ფაქტობრივად, ამ გამოუცხადებელი ომის იარაღი არის ბრძოლა საზოგადოებასთან რუსული პროპაგანდის მეთოდებით, - განაცხადა „ნაციონალური მოძრაობის" წევრმა ლევან ბეჟაშვილმა პარლამენტში. მისი თქმით, პროპაგანდა იმისა, რომ „დასავლეთს ომი უნდა", მიზნად ისახავს, ქვეყანა დააშოროს ევროპულ პერსპექტივას და საზოგადოებაში ნიჰილიზმი დანერგოს ევროპული ღირებულებების მიმართ.

მოამზადა
ია შველიძემ

# უნდა ავაშენოთ ისეთი სახელმწიფო, სადაც კორუფცია ხელს ვერ შეუშლის ქვეყნისა და საზოგადოების განვითარებას

***ახლახან საქართველოში, ევროკავშირის 12-პუნქტიანი რეკომენდაციის შესაბამისად ანტიკორუფციული ბიურო შეიქმნა. გაიმართა აღნიშნული ბიუროს პრეზენტაცია***

სანამ შეკრებილები უშუალოდ მოისმენდნენ, როგორი სამსახური იქმნება, ირაკლი ღარიბაშვილმა მათ შეახსენა, დღევანდელი ხელისუფლების ათწლიან პერიოდში რა გზა გაიარა საქართველომ.

„ჩვენ მოვაწერეთ ხელი ასოცირების შეთანხმებას, შემდეგ თავისუფალ ვაჭრობას, მივიღეთ უვიზო რეჟიმი და გასულ წელს ჩვენმა ქვეყანამ ოფიციალურად შეიტანა განაცხადი ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანი ისტორიული გადაწყვეტილება იყო. ასეთივე ისტორიული გადაწყვეტილება იყო შარშან, 17 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს ევროპული პერსპექტივა მიენიჭა. ეს არის ხმამაღალი აღიარება ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მისწრაფებისა და ამავე დროს, - ახალი ისტორიული ეპოქის დასაწყისი.

ძვირფასო მეგობრებო, მოგეხსენებათ, რომ შარშან გადმოგვეცა 12 რეკომენდაცია, რომელთა შესრულებაც ჩვენმა ხელისუფლებამ დაიწყო მყისიერად. პარლამენტმა გასწია ძალიან დიდი სამუშაო, შეიქმნა შესაბამისი სამუშაო ჯგუფები და ჩვენი მხრიდან ყველაფერი გაკეთდა და კეთდება იმისთვის, რომ ხელისუფლების მიერ ნაკისრი ყველა ვალდებულება პირნათლად შესრულდეს.

ამ 12-პუნქტიანი გეგმის მე-4 რეკომენდაცია გულისხმობს ანტიკორუფციული მექანიზმების გაძლიერებას. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა ანტიკორუფციული ბიურო.

მინდა აღვნიშნო, რომ ბიურო გამოირჩევა დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით, რაც ასევე მოიცავს ფინანსურ დამოუკიდებლობასაც. იგი პასუხისმგებელია მხოლოდ საქართველოს პარლამენტისა და უწყებათაშორისი ანტიკორუფციული საბჭოს წინაშე, რაც გულისხმობს მათ წინაშე ყოველწლიურ ანგარიშგებას.



ბიუროს უფროსის კანდიდატები შეირჩა დამოუკიდებელი კომისიის მიერ, რომელიც აერთიანებდა სახელმწიფო უწყებათა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს. სწორედ ამ კომისიის მიერ შემოთავაზებული კანდიდატების სიიდან დაინიშნა ბიუროს უფროსი, ბატონი რაჟდენ კუპრაშვილი. ბიურო ერთი ქოლგის ქვეშ აერთიანებს კორუფციის პრევენციის ყველა ძირითად ფუნქციას. მისი საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან ძლიერი კოორდინაციით ანტიკორუფციული პოლიტიკის განსაზღვრა. ბიუროს გააჩნია ანტიკორუფციული პოლიტიკის დოკუმენტების შესრულებაზე ზედამხედველობისა და სათანადო რეკომენდაციების გაცემის უფლებამოსილება. ბიუროს მიერ გაცემული რეკომენდაციები იქნება ჩვენი ქვეყნის ძლიერი ანტიკორუფციული პოლიტიკის განმსაზღვრელი მექანიზმი", - განაცხადა პრემიერმა.

ირაკლი ღარიბაშვილმა ასევე ისაუბრა ხელისუფლების მიღწევებზე ბოლო 10 წლის განმავლობაში.

„სულ რამდენიმე ფაქტს შეგახსენებთ:

კორუფციის აღქმის ინდექსის 2022 წლის კვლევით, საქართველო 180 ქვეყნიდან 41-ე ადგილს იკავებს. ასევე, Trace „Bribery Risk Matrix 2022"-ის თანახმად, საქართველო ევროპის საუკეთესო ოცეულშია, ხოლო გლობალურ რეიტინგში 194 ქვეყნიდან 33-ე ადგილზეა. აქვე შეგახსენებთ, რომ გლობალური სამართლიანობის პროექტის კანონის უზენაესობის ინდექსით, საქართველო აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში პირველ ადგილზეა, ისევე როგორც ღია ბიუჯეტის კვლევის მიხედვით, საქართველო მსოფლიოში არის პირველ ადგილზე 120 ქვეყანას შორის. „კორუფციის კონტროლის" მიხედვით, საქართველო მსოფლიო ბანკის წევრ 189 ქვეყანას შორის კიდევ 5 ადგილით დაწინაურდა და ევროპაში 21-ე, ხოლო კონტინენტური ევროპის საუკეთესო ოცეულში მე-18 ადგილზეა.

ამ მონაცემებს თუ 2012 წლამდე პერიოდს შევადარებთ, პროგრესი კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდება, - იმ დროისათვის საქართველო მსოფლიოში 62-ე ადგილზე იყო, ანუ ძალიან შორს ევროპის საუკეთესო ოცეულისგან.

დღეს კორუფციის კონტროლით საქართველო უსწრებს ევროკავშირის წევრ 11 სახელმწიფოს და ნატოს წევრ 13 ქვეყანას. საქართველო პირველ ადგილზეა კავკასიასა და შავიზღვისპირეთში. პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან მხოლოდ ბალტიისპირეთის ქვეყნებია ჩვენზე წინ, ჯერჯერობით. ეს პროგრესი, რა თქმა უნდა, თანმიმდევრულია. კორუფციის კონტროლის მხრივ, საქართველომ შეფასების ქულა გაიუმჯობესა და ჩვენ ეს მიღწევები გვაძლევს დამატებით მოტივაციას, რომ კიდევ უფრო მეტი გავაკეთოთ. დღევანდელ მსოფლიოში, სადაც კორუფცია ძლიერი, განვითარებული ქვეყნებისთვისაც სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს, ჩვენ გვჭირდება კოორდინირებული, თანამიმდევრული მუშაობა ისეთი სახელმწიფოს ასაშენებლად, სადაც კორუფცია ხელს ვერ შეუშლის ქვეყნისა და საზოგადოების განვითარებას. ამიერიდან, ამ მიმართულებით მუშაობის პასუხისმგებლობის უდიდესი წილი დაეკისრა ანტიკორუფციულ ბიუროს. მჯერა, რომ ბიუროს ახალი უფროსი და მისი ყველა თანამშრომელი ძალისხმევას არ დაიშურებენ, რომ კიდევ უფრო მეტ პროგრესს მიაღწიოს ჩვენმა ქვეყანამ ამ მიმართულებით." - აღნიშნა მთავრობის მეთაურმა.

ღონისძიებაზე მიწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა და ანტიკორუფციული ბიუროს უფროსმა რაჟდენ კუპრაშვილმა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების და ასევე დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

## ჰააგის სასამართლოს ისტორიული გადაწყვეტილება

3

## მთავარი პრინციპი - საჯაროობა

4

ISSN 2720-8702

9 772720 870003


## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93

# არჩილ ჩიქოვანმა ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის (IRE) პრეზიდენტ დოქტორ ფრანც შაუსბერგერთან შეხვედრა გამართა

**ნაილე ხერთვისელი 27 48 93**

*შეხვედრაზე მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობის გაღრმავებასა და სამომავლო პერსპექტივებზე იმსჯელეს. დელეგაციის წევრებმა აღნიშნეს, რომ მზად არიან მხარი დაუჭირონ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას, რათა ქვეყანამ შეძლოს, ისარგებლოს იმ პროექტებითა და ბენეფიტებით, რომლებსაც ევროკავშირი თავის წევრებს სთავაზობს*

არჩილ ჩიქოვანმა გამოთქვა მზაობა, ევროპის რეგიონთა ინსტიტუტში ბათუმის გაწევრიანებასთან დაკავშირებით. მისივე თქმით, ევროპის ინსტიტუტებთან ურთიერთობა, მათი გამოცდილების გაზიარება სამომავლო განვითარებისა და ევროპული მომავლისათვის უმნიშვნელოვანესია.

„ევროკავშირი დაეხმარება საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის საქმეში. ამ გზაზე ძალიან მნიშვნელოვანია ქალაქებისა და რეგიონების როლი, ვინაიდან გაწევრიანების მიმართულებით არსებული გამოწვევები და ვალდებულებები, უპირველეს ყოვლისა, რეგიონებმა უნდა შეასრულონ და ისინი ახორციელებენ პრაქტიკულად ყველაფერს. შესაბამისად, ქალაქი უნდა იყოს მომზადებული, რომ გაწევრიანების შემთხვევაში მოახერხოს არსებული რესურსების ათვისება“, - აღნიშნა ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის პრეზიდენტმა ფრანც შაუსბერგერმა შეხვედრაზე.



ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის დაარსების მიზანს წარმოადგენს რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობის ქსელის ჩამოყალიბება, საზოგადოებრივი, ასევე ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში მათი ინტერესების მხარდაჭერა, გამოცდილების გაზიარება და ევროკავშირთან დაახლოების ხელშეწყობა.

ევროპის რეგიონთა ინსტიტუტი 2004 წელს ქალაქ ზალცბურგში დაარსდა, როგორც ეკონომიკური და სამეცნიერო დაწესებულება. ამჟამად ინსტიტუტი აერთიანებს ევროპის 21 სახელმწიფოს 150-მდე წევრს. აღნიშნულ ორგანიზაციაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა 2012 წელს გაწევრიანდა.

ორგანიზაცია ყოველწლიურად მართავს გენერალურ ასამბლეას, ზალცბურგის ევროპის სამიტს, ევროპის რეგიონებისა და ქალაქების კონფერენციებს, სადაც განიხილება ისეთი აქტუალური თემები, როგორიცაა ევროპის რეგიონების, ქალაქების განვითარების სამომავლო სტრატეგიები, პოლიტიკური და ეკონომიკური გამოწვევები.

# აჭარაში დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის გაძლიერების მიზნით ახალი სერვისის დანერგვა იგეგმება

**ნაილე ხერთვისელი 27 48 93**

*საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო იაპონიის საერთაშორისო განვითარების სააგენტო JICA-სთან ერთად, აჭარაში ორსულ ქალთა და ახალშობილთა მაღალი ხარისხის უწყვეტი მეთვალყურეობის დანერგვას გეგმავს*

საპილოტე პროგრამის ფარგლებში შეიქმნება ორსულთა და 5 წლამდე ასაკის ბავშვთა მეთვალყურეობის სტრატეგია. ორსულებისთვის და ახალბედა მშობლებისთვის მომზადდება სპეციალური სახელმძღვანელო, რომელიც დედათა და ბავშვთა უწყვეტი მოვლის ხარისხის გაუმჯობესებას და მშობელთა ცნობიერების ამაღლებას ისახავს მიზნად.



პროექტის ფარგლებში, სამუშაო შეხვედრა გაიმართა აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში. მინისტრი ნინო ნიჟარაძე დედათა და ბავშვთა საკითხებში იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს უფროს მრჩეველ კეიკო ოზაკს შეხვდა. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ JIC-ს სათაო ოფისის წარმომადგენელი რისა ნაიტო, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ჯანდაცვის პოლიტიკის დეპარტამენტის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოს ხელმძღვანელი ვერა ბაზიარი, დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დედათა და ბავშვთა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სამმართველოს უფროსი ნინო ლომია, აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელი რუსუდან შავიშვილი, მოადგილე ნონა ეფაძე, პროექტის ექსპერტები ნინო ქაჯაია და ქეთი გაბიძაშვილი.



მხარეებმა ისაუბრეს პროექტის მნიშვნელობაზე, თანამშრომლობის მზაობასა და სამომავლო გეგმებზე. ვიზიტის ფარგლებში JICA-ს წარმომადგენლები ხულოსა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებს სტუმრობდნენ, ასევე, მოინახულეს ანტინატალური მეთვალყურეობის პროგრამაში ჩართული სამედიცინო დაწესებულებები, სადაც შესაძლებლობა ჰქონდათ საინფორმაციო შეხვედრები გაემართათ ექიმებთან და ორსულებთან.

# საქართველოს ჩემპიონის ტიტულები მოიპოვეს

**ცოტნე ცაბაძე 27 48 93**

*ოზურგეთში საქართველოს 17-წლამდელთა ჩემპიონატი გაიმართა თავისუფალ ჭიდაობაში*

ასპარეზობაში 300-მდე სპორტსმენი ჩაერთო. მათ შორის, ა(ა)იპ ქედის სასპორტო სკოლის მოჭიდავეები, რომლებმაც წარმატებით იასპარეზეს. 55 და 65 კილოგრამ წონით კატეგორიებში პირველი ადგილები დიმა გოგიტიძემ და ანრი გოგუაძემ დაიკავეს, 65-კილოგრამიან წონით კატეგორიაში კი კობა გოგუაძე მესამე იყო.

საქართველოს ჩემპიონებმა ანრი გოგუაძემ და დიმა გოგიტიძემ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატის საგზურები მოიპოვეს.

- მადლობას ვუხდით მოჭიდავეებსა და მათ პირად მწვრთნელ გოჩა ფარტენაძეს ამ წარმატებისთვის და ევროპისა და მსოფლიო პირველობებზეც გამარჯვებებს ვუსურვებთ, - გვითხრა ქედის სასპორტო სკოლის დირექტორმა მანუჩარ ჯიჯავაძემ.



## ამბები

# პარტიული კონფერენციები გამართეს

**თამაზ მგზავრიძე 27 48 94**

*აჭარაში დასრულდა „ქართული ოცნების“ პარტიული კონფერენციები*

სამი დღის განმავლობაში კონფერენციები გაიმართა ბათუმში, ხულოში, შუახევში, ქედაში, ხელვაჩაურსა და ქობულეთში.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე, გენერალური მდივანი კახა კალაძე, აღმასრულებელი მდივანი მამუკა მდინარაძე, რეგიონული მდივანი დიმიტრი სამხარაძე, აჭარის მთავრობისა და პარტიის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე, პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატები აჭარიდან რესან კონცელიძე, ანზორ ბოლქვაძე, საპარლამენტო უმრავლესობის წევრები, აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ფრიდონ ფუტკარაძე, ფატი ხალვაში, ცოტნე ანანიძე, აჭარის მუნიციპალიტეტების მერები და საკრებულოების თავმჯდომარეები.

კონფერენციებზე პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების თავმჯდომარეები და ბიუროს წევრები აირჩიეს.

„ქართული ოცნების“ ბათუმის საქალაქო ორგანიზაციას ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი არჩილ ჩიქოვანი უხელმძღვანელებს,

ქობულეთის ორგანიზაციას - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერი ლევან ზოიძე, ხულოს ორგანიზაციას - ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე, შუახევის ორგანიზაციას - შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, ქედის ორგანიზაციას - ქედის მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე, ხელვაჩაურის ორგანიზაციას - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი ზაზა დიასამიძე.

„ქართული ოცნება“ ქვეყნის მასშტაბით 73 პარტიულ კონფერენციას გამართავს.

# საგრანტო კონკურსი იწყება

**ცოტნე ცაბაძე 27 48 93**

*ქედაში, სახელმწიფო პროგრამის „მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის“ საგრანტო კონკურსის ფარგლებში, რწმუნებულებთან და მეწარმეებთან საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. ისაუბრეს პროგრამაში ჩართვის და ბიზნესიდეის განხორციელების დეტალებზე*

აღინიშნა, რომ სახელმწიფო პროგრამის მიკრო და მცირე მეწარმეობის ფარგლებში გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება ექნება საქართველოს ნებისმიერ სრულწლოვან მოქალაქეს, როგორც მეწარმე სუბიექტს, რომელსაც პროგრამის ფარგლებში დაფინანსება არ მიუღია, ან პირველად მონაწილეობს, ასევე, მეწარმე სუბიექტს, რომელმაც ერთხელ უკვე მიიღო პროგრამის „მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის“ ნაწილით განსაზღვრული დახმარება.

პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს მიკრო და მცირე მეწარმეებს, დაიწყონ ან განავითარონ საკუთარი ბიზნესი სახელმწიფოს მხარდაჭერით.

ბიზნესიდეების რეგისტრაცია 3 აპრილს დაიწყება და 27 აპრილს დასრულდება.

აჭარა 102 №34 (25.058) შაბათი, 1-3.04.2023 

# ჰააგის სასამართლოს ისტორიული გადაწყვეტილება

**ლაშა ხომერიკი 593 50 82 69**



*ისტორიულ გადაწყვეტილებად აფასებენ ანალიტიკოსები ჰააგის სასამართლოს ვერდიქტს რუსეთის პრეზიდენტთან დაკავშირებით, რომელზეც დაპატიმრების ორდერი გასცა. ცივილიზებულმა მსოფლიომ განაჩენი გამოუტანა პუტინს, რაც გარკვეულწილად, მის იზოლაციას ნიშნავს საერთაშორისო პოლიტიკაში. ომის ერთი წლის განმავლობაში რუსეთის ჯარმა არაერთი დანაშაული ჩაიდინა უკრაინაში, ბუჩას ტრაგედია, ასევე, ასობით დახოცილი და ათასობით გატაცებული ბავშვი რუსეთის რეჟიმის ბარბაროსობის მკაფიო მაგალითებია. ისიც ცხადია, რომ ჰააგის სასამართლოს მაღალი სტანდარტი აქვს, რაც ამ ინსტიტუტმა არაერთხელ დაამტკიცა. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური მოსკოვი ჰააგის სასამართლოს ვერდიქტს არ აღიარებს, პუტინის იმიჯი დასავლეთში კიდევ უფრო შეირყა, მასთან სახელმწიფოთა გავლენიანი ლიდერები შეხვედრას აღარ მოისურვებენ. ამასთან დაკავშირებით არაერთი კითხვა ისმის, რომლებზეც დღეს ბსუ-ის პროფესორი* ***ლაშა ბაქუნაიშვილი*** *გვიპასუხებს.*

**- ამას წინათ ჰააგის სასამართლომ რუსეთის პრეზიდენტს ვერდიქტი გამოუტანა, თქვენი აზრი ამის შესახებ...**

- ჰააგის სასამართლოს გადაწყვეტილება სამართლიანობის აღდგენის თვალსაზრისით უპრეცედენტოა. როგორც ცნობილია, უკრაინაში მასობრივი ძალადობა განხორციელდა მშვიდობიან მოსახლეობაზე, როგორც სამხედროების, ასევე გადაწყვეტილებების მიმღების ორგანოების მხრიდან. ჰააგის ზემოაღნიშნული ვერდიქტი სამართლებრივი თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ვხედავთ მასობრივი დანაშაულის ნიშნებს, ბუჩას ტრაგედია ამის თვალსაჩინო მაგალითია. ამავდროულად, რუსეთის ხელისუფლების დანაშაული იმ კუთხითაც იკვეთება, რომ მათი ბრძანებით მიმდინარეობს სარაკეტო იერიშები არასამხედრო ობიექტებზე, სადაც მშვიდობიანი მოსახლეობის დიდი კონცენტრაციაა. მაგალითად, ამას წინათ რკინიგზის სადგურთან მყოფი ადამიანები ცდილობდნენ, გასცლოდნენ საომარ რეგიონებს და სწორედ ამ დროს მიიტანეს მათზე რუსმა სამხედროებმა სარაკეტო იერიში. ეს ყველაფერი დაგროვდა. სხვათა შორის, საერთაშორისო თვალსაზრისით ამ გადაწყვეტილებას პოლიტიკური მოტივიც აქვს.

**- რას გულისხმობთ?**

- საერთაშორისო თანამეგობრობა თვლის, რომ პუტინის ხელისუფლება ტოტალიტარულია და სწორედ ამ ტოტალიტარულმა ხელისუფლებამ დაიწყო ომი უკრაინაში. ჯერჯერობით ყველაფერი არ არის ცნობილი. ომი რომ დამთავრდება, ბევრი დეტალი გამომზეურდება და შეიძლება მილოშევიჩის დონეზე დადგეს პუტინის პასუხისმგებლობა. რაც მთავარია, ჰააგის სასამართლოს გადაწყვეტილება ყველაზე დიდი სანქციაა პუტინთან მიმართებით, ანუ რეპუტაციულად და მორალურად პუტინი განადგურებულია. ეს იყო ყველაზე ბოლო სანქცია, ამაზე ეფექტიანი ვერდიქტი არ მეგულება, ეს არის სიკვდილის ტოლფასი გადაწყვეტილება, რადგან პუტინთან შეხვედრას ცივილიზებული მსოფლიოს ლიდერები არ მოისურვებენ...

**- ...თუმცა მას ჩინეთის ლიდერი შეხვდა მოსკოვში.**

- დიახ, ჩინეთის ლიდერი ამას წინათ იმყოფებოდა მოსკოვში, ამით მან მიანიშნა დასავლეთს, რომ არ აღიარებს იმ სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც დასავლეთშია დამკვიდრებული. სხვა გზავნილი ჩინეთის ლიდერს დასავლეთისადმი არ ჰქონია. ამ სახელმწიფომ თავისი ეროვნული, პრაგმატული ინტერესი წამოწია წინ.

**- რუსეთის პოლიტიკურმა ელიტამ ირონიულად შეაფასა ჰააგის სასამართლოს გადაწყვეტილება, თანაც შეგვახსენა, რომ ბირთვულ იარაღს ფლობენ, ეს რისი მანიშნებელია?**

- რუსეთის ხელისუფლებას სხვა არაფერი დარჩენია იმის გარდა, რომ სამყაროს დაემუქროს ბირთვული იარაღის გამოყენებით, რადგან ომში სასურველ შედეგს ვერ აღწევს. საერთოდ, არაერთხელ გაგვიგონია მსგავსი მუქარები კრემლის მხრიდან.

**- ანუ თქვენ თვლით, რომ რუსეთის პრეზიდენტი საერთაშორისო პოლიტიკაში იზოლაციაშია?**

- რა თქმა უნდა, რუსეთის პრეზიდენტი საერთაშორისო ასპარეზზე იზოლაციაში ექცევა! შეიძლება ჩრდილოეთ კორეაში ჩავიდეს, ჩინეთშიც ჩავა და არც იქ შეექმნება პრობლემა, მაგრამ ცივილურ მსოფლიოში, ბუნებრივია, პუტინი ვიზიტს ვერ განახორციელებს.

**- „კაპიტულაციის გარდა პუტინს სხვაზე არავინ არაფერზე დაელაპარაკება“ - აღნიშნა ანალიტიკოსმა თენგიზ ფხალაძემ...**

- ჩემი აზრით, ზუსტად ამ ფორმულირებით იხელმძღვანელებენ დასავლელი ლიდერები. ეს მე მახსენებს მეორე მსოფლიო ომის დროინდელ პერიოდს, როდესაც ანტიჰიტლერული კოალიცია შეთანხმდა, ჰიტლერთან არ ჰქონოდა არანაირი ურთიერთობა. იქ იყო პრინციპი: „გავანადგუროთ მტერი ბუნაგში“. საინტერესოა, რომ ისტორია ამ კუთხით მეორდება და ჰააგის დადგენილებით დასავლეთმა პუტინს მიანიშნა, რომ ისინი მასთან არ ისაუბრებენ ამ თემაზე და ამ მიმართებით საუბარი მოუწევს მინიმუმ სხვა პირს, მაქსიმუმ, სხვა ხელისუფლებას.

**- რამდენად მოსალოდნელია, რომ რუსეთის სამხედრო და პოლიტიკურმა ელიტამ პუტინი მოიშოროს?**

- ვფიქრობ, პუტინისთვის ჰააგის გადაწყვეტილება ბოლო ჟამია, რაც რუსეთში სხვა ძალებს გზას უხსნის ხელისუფლებისთვის ბრძოლაში. დროთა განმავლობაში პოლიტიკურმა ელიტამ შეიძლება პუტინის ჩანაცვლებაზეც იფიქროს. გამორიცხული არაფერია. პირველ რიგში შიდა პოლიტიკურ კონტექსტში პუტინის იმიჯს დაარტყეს. ყველასათვის გასაგებია, რომ პუტინი აგრესორია, მან მიიღო ომის დაწყების გადაწყვეტილება და არა სხვებმა, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ინსტიტუციურად აჩვენა ამ გადაწყვეტილების მიღების კოლექტიური სახე, ანუ პუტინმა სრული პასუხისმგებლობა მთელ პოლიტიკურ ელიტას აჰკიდა. ვერდიქტი, პირველ რიგში, პუტინის შიდა პოზიციებზე დარტყმა და მისი ძალაუფლების დემონტაჟის მცდელობაა საშინაო პოლიტიკის თვალსაზრისით.

**- როგორც ცნობილია, 2008 წელს ცხინვალში ქართველთა ეთნოწმენდა განხორციელდა, რამდენად მოსალოდნელია, რომ ამის გამო ჰააგის სასამართლომ სხვა რუს მაღალჩინოსნებზეც გასცეს დაპატიმრების ორდერები?**

- ჩვენ უფრო მეტად პროაქტიურები უნდა ვიყოთ ამ მიმართებით. ჰააგის სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება უპირველესად, უკრაინელთა დამსახურებაა, რადგან სამხედროები და პროკურატურა ერთობლივად ზრუნავდნენ, რომ ომის სავალალო შედეგების ამსახველი ფოტოები და ვიდეოკადრები შეეგროვებინათ. დიახ, ყველაზე კარგი მტკიცებულება კადრებია, არა მხოლოდ პროკურატურის წარმომადგენლები, არამედ სამხედროებიც არიან აღჭურვილნი კამერებით, შემთხვევებს აფიქსირებენ და ფოტომასალას გადასცემენ სპეციალურ ორგანოებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან, საერთაშორისო საზოგადოებას ომის რეალური სურათი აჩვენონ. რუსეთის დანაშაულის გამოაშკარავება მათი დამსახურება იყო. ომის დამთავრების შემდეგ ევროპულ საზოგადოებაში ყველაზე დიდი სადისკუსიო საკითხი იქნება არა მარტო პუტინის, არამედ სხვა რუსი ჩინოვნიკების ნამოქმედარიც, რომლებიც უნდა გასამართლდნენ. საქართველოს შემთხვევაში რა უნდა ითქვას, ჩვენი ხელისუფლება, საზოგადოება მობილიზებული უნდა იყოს, რათა, ეს საკითხი დააყენოს, თუ ასე არ მოხდა. მაშინ არაფერი გამოვა, ჰააგის სასამართლომ რომც მოინდომოს ამ საკითხის განხილვა, ქართულ მხარეს უნდა მიმართოს, საქმე რომ აღძრას, მტკიცებულება უნდა ჰქონდეს. ჩვენ უნდა მივაწოდოთ, ვთქვათ, რომ ეს მტკიცებულება გვაქვს და მათ დასჯას მოვითხოვთ.

**- ექსპერტები აცხადებენ, რომ ახლა შესაფერისი დროა რუსეთზე ზემოქმედებისთვის...**

- დიახ, სამისოდ ხელსაყრელი დროა, სხვა დროს შეიძლება ეს უყურადღებოდ დაეტოვებინათ, დღეს კი ხელსაყრელი გარემოა, საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება მაინც სუბიექტურია და დღეს სუბიექტური მიზეზები რუსეთის საწინააღმდეგოდ მოქმედებს. ჩვენ გვახსოვს ტალიავინის დასკვნა, ასევე გვახსოვს შემდეგომში ევროპის კონფორმიზმი, მაგრამ ამჟამად აღსანიშნავია ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც თამამად გამოვიდა და რუსეთი დაგმო. ნახეთ, პოლიტიკური კონტექსტი როგორ შეიცვალა, ანუ ახლა დასავლეთი თამამია იმიტომ, რომ რუსეთის მიმართ დაყვავების პოლიტიკამ შედეგი არ გამოიღო. რამდენადაც ხელი დააფარეს, იმდენად უფრო მეტი სიხისტე, აგრესიულობა გამოავლინა ამ ქვეყანამ.

**- ვხედავთ, რომ რუსეთი უკან დახევას ჯერჯერობით არ აპირებს, პირიქით, მოლდოვაში ხელისუფლების შეცვლას ცდილობს...**

- მოლდოვა რუსეთისთვის სტრატეგიული მდგომარეობის გამო მნიშვნელოვანია. ეს ქვეყანა ესაზღვრება ოდესის ოლქს და რუსეთს მეორე ფრონტის გახსნის შესაძლებლობა ექნება შავი ზღვის მიმართულებით. როგორც ცნობილია, დნესტრისპირეთში ცხოვრობს რუსი მოსახლეობა, სადაც შემორჩენილია რუსეთის სამხედრო არსენალის ყველაზე დიდი მარაგი. ამიტომ კრემლი სამი მთავარი სტრატეგიული ამოცანის გადაჭრას ცდილობს: პირველი - შეცვალოს პროდასავლური ხელისუფლება, ანუ შეაფერხოს მოლდოვის ევროატლანტიკური სვლა; მეორე - ხელში ჩაიგდოს პლაცდარმი ოდესის მიმართულებით და ეს ძალიან დიდი მიმართულებაა; მესამე - ხელში ჩაიგდოს დიდი შეიარაღება, რომელიც ახლა ჩაკეტილია. რატომ ცდილობენ პრორუსული ძალები აეროპორტის ხელში ჩაგდებას? იმიტომ, რომ აეროპორტის დაკავებით რუსები ფრონტის ხაზზე გარკვეულ შეიარაღებას შეიტანენ, როგორც ვთქვი, ეს ტერიტორია რუსეთისთვის ჩაკეტილია, მას დნესტრისპირეთთან პირდაპირი საზღვარი არ აქვს.

**- ჰააგის სასამართლოს გადაწყვეტილება უკრაინის ომს უკავშირდება, ახლა ომის რა ფაზაა?**

- ახლა ძირითადი ბრძოლები დონეცკისა და ლუგანსკის რეგიონებში წარმოებს, გააფთრებული ბრძოლა კი ბახმუტთან მიმდინარეობს. ომი მხოლოდ სამხედრო მოქმედებები არ არის, დიდი როლი აკისრია ინფორმაციულ უპირატესობასაც. რუსეთს არა აქვს არანაირი ინიციატივა ფრონტის ხაზზე, უკრაინულმა არმიამ გამოფიტა რუსული შენაერთები არა მხოლოდ ბახმუტში, არამედ ხარკოვის ოლქში, ხერსონში. მოკლედ, რუსეთი წარმატებას ვერ აღწევს. უკრაინული არმია, რა თქმა უნდა, მოტივირებულია, კარგად აღჭურვილი, გაწვრთნილი. გარდა ამისა, დასავლური შეიარაღების მიწოდება იზრდება... ყველაზე მთავარი - უკრაინელები სამშობლოს იცავენ. რუსების მოტივაცია სხვაა, აბსოლუტურად განსხვავებული, ამიტომ დიდი უპირატესობა რაც აქვს უკრაინულ ჯარს - ეს არის პატრიოტიზმი, სამშობლოს დაცვის აუცილებლობის გათავისება.

**- მოსალოდნელია თუ არა წელს უკრაინის ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაცია?**

- ჩვენ არ ვფლობთ დაზვერვის ინფორმაციას, ამას ვერავინ გვეტყვის, მაგრამ, ჩემი აზრით, რუსეთის არმიას აღარ შესწევს ძალა, რომ ფრონტის ხაზზე დიდი გარღვევები მოახდინოს, აქ არც ის მომენტები მუშაობს, რაც, ვთქვათ, მეორე მსოფლიო ომში მუშაობდა, ანუ რუსეთს არც ტექნიკით ეხმარება ვინმე, არც ცოცხალი ძალით, არადა, მეორე მსოფლიო ომში ყველაზე მეტად საბჭოთა კავშირს ამერიკა ეხმარებოდა „ლენდ-ლიზის“ კანონის ფარგლებში, რამაც მას შესაძლებლობა მისცა ბევრგან ფრონტის ბედი სათავისოდ შემოეტრიალებინა. დღეს რუსეთი, ფაქტობრივად, მარტოა. ჩინეთი კი არის მისი მოკავშირე, მაგრამ მასაც აქვს გარკვეული შიში საერთაშორისო სანქციებთან მიმართებით და ღიად არ შეუძლია რუსეთს დაეხმაროს. ნამდვილად არ უნდა ჩინეთს აგრესორი სახელმწიფოს დახმარება, რადგან მაშინ თვითონაც აგრესორი სახელმწიფო გახდება. რუსეთს არ ჰყოფნის სამხედრო პოტენციალი, რომ ეს ომი წარმატებით დაასრულოს. ვიმედოვნებ, რომ იგი ამ ომს კატასტროფულად წააგებს, მნიშვნელოვანია, რომ უკრაინა არ გაჩერდეს, ანუ რუსეთი ისე უნდა დამარცხდეს უკრაინაში, როგორც იაპონიასთან ომში, როგორც ყირიმის ომში, როცა იაპონიამ და ინგლისმა რუსული არმია კატასტროფულად დაამარცხა. მოკლედ, თუ რუსეთი არ ჩასვეს საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებში, მაშინ მისგან კარგს არაფერს უნდა ველოდოთ, რუსეთი არის ის სახელმწიფო, რომელიც პოტენციალის აღდგენის შემდეგ ისევ აგრესიულ პოლიტიკას დაადგება.

***„მოლდოვა რუსეთისთვის სტრატეგიული მდგომარეობის გამო მნიშვნელოვანია. ეს ქვეყანა ესაზღვრება ოდესის ოლქს და რუსეთს მეორე ფრონტის გახსნის შესაძლებლობა ექნება შავი ზღვის მიმართულებით. როგორც ცნობილია, დნესტრისპირეთში ცხოვრობს რუსი მოსახლეობა, სადაც შემორჩენილია რუსეთის სამხედრო არსენალის ყველაზე დიდი მარაგი. ამიტომ კრემლი სამი მთავარი სტრატეგიული ამოცანის გადაჭრას ცდილობს***

იხ. მე-7 გვ.

## უცხოეთი

ქართველი ხალხი უკრაინას ომში მტკიცე მხარდაჭერას უწევს, - განაცხადა საქართველოში აშშ-ის ელჩის პოზიციაზე ჯო ბაიდენის მიერ წარდგენილმა კანდიდატმა რობინ დანიგანმა სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტის სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას. „ქართველებმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგეს უკრაინის მხარდასაჭერად. მათ გააგზავნეს კრიტიკული მნიშვნელობის ენერგეტიკული აღჭურვილობა რუსეთის მიერ დაზიანებული ენერგოსისტემის აღსადგენად“, - აღნიშნა დანიგანმა. მისივე თქმით, სამწუხაროდ, ქართველებმა კარგად იციან ის საფრთხე, რასაც ახლა უკრაინა განიცდის, რადგან რუსეთს 2008 წლის შემდეგ ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიები. „აქტიურად ვიმუშავებ საქართველოს მთავრობასთან, რომ მხარი დავუჭიროთ საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, რათა რუსეთმა შეასრულოს თავისი ვალდებულებები 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებისა და გაეროს წესდების შესაბამისად“, - დასძინა მან.

* * *

ფინეთი ნატოს უახლოეს დღეებში ოფიციალურად შეუერთდება, ფინეთის გაწევრიანების პროტოკოლის რატიფიცირება ნატოს 30-ვე მოკავშირემ განახორციელა, - განაცხადა ალიანსის გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა. როგორც მან აღნიშნა, ფინეთი ბევრ სარგებელს მოუტანს ალიანსს. ამასთან, სტოლტენბერგმა ოპტიმიზმი გამოხატა ნატოში შვედეთის გაწევრიანების შანსებთან დაკავშირებით. „შვედეთის განაცხადის რატიფიკაციის პროცესის სწრაფი დასრულება ყველას ინტერესში იქნება. მოუთმენლად ველი, რაც შეიძლება მალე მივესალმო შვედეთს, როგორც ნატოს ოჯახის სრულუფლებიან წევრს“, - განაცხადა სტოლტენბერგმა.

* * *

ეს არის პოლიტიკური დევნა და ისტორიაში ყველაზე დიდ დონეზე არჩევნებში ჩარევა, რომელიც ჯო ბაიდენს მძიმე უკუშედეგს მოუტანს“, - ასე გამოეხმაურა აშშ-ის ექსპრეზიდენტი დონალდ ტრამპი მანჰეტენის ნაფიც მსაჯულთა დიდი კოლეგიის მხარდაჭერას მისთვის სისხლის სამართლის საქმეზე ბრალის წაყენებასთან დაკავშირებით. გამოძიება ეხებოდა 2016 წლის საპრეზიდენტო კამპანიის დროს პორნოვარსკვლავისთვის თანხის გადახდას იმის სანაცვლოდ, რომ ტრამპთან სავარაუდო ურთიერთობის შესახებ საუბარი შეეწყვიტა. ტრამპი სასამართლოს წინაშე, სავარაუდოდ, მომავალ კვირაში წარდგება.

* * *

ვლადიმერ პუტინმა რუსეთის საგარეო პოლიტიკის ახალი კონცეფცია დაამტკიცა. განახლებული კონცეფციის ძირითადი დებულებების თანახმად: „რუსეთი თავს არ თვლის დასავლეთის მტრად და მისგან იზოლირებას არ ახდენს; რუსეთი იმედოვნებს, რომ დასავლეთი გააცნობიერებს დაპირისპირების უპერსპექტივობას და თანასწორუფლებიან ურთიერთობას დაუბრუნდება; მოსკოვი აშშ-ის კურსს განიხილავს, როგორც მისი უსაფრთხოებისა და საერთაშორისო მშვიდობის რისკის მთავარ წყაროს; პრიორიტეტი მიენიჭება მსოფლიოში აშშ-ის დომინირების რუდიმენტების აღმოფხვრას; განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჩინეთთან და ინდოეთთან კავშირებისა და კოორდინაციის ყოვლისმომცველ გაღრმავებას; პოსტსაბჭოთა სივრცეში მთავარი მიზანი არის რეგიონის გადაქცევა მშვიდობის, კეთილმეზობლობისა და კეთილდღეობის ზონად“.

**მოამზადა**
**ია შველიძე**

# მთავარი პრინციპი – საჯაროობა

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

***გაიმართა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. საკრებულოს წევრებისა და დამსწრე საზოგადოების წინაშე შარშან გაწეული საქმიანობის ანგარიში წარადგინა ქედის მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ***



როგორც მან თქვა, ამ პერიოდში მერიის საქმიანობის ძირითადი პრინციპები იყო: ორგანიზაციული საქმიანობის საჯაროობა; ადამიანების კეთილდღეობაზე ზრუნვა; მათი უფლებების დაცვა; მერიის სერვისებში მოქალაქეთა ჩართულობის გაუმჯობესება; თვითმმართველობის სფეროების ეფექტური მართვა; კრიზისული სიტუაციებიდან თავის ორგანიზებულად დაღწევა.

აღინიშნა, რომ მერია, თვითმმართველობის სხვა ორგანოები განვლილ პერიოდში უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობდნენ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძესთან ერთად, როლანდ ბერიძემ ხელი მოაწერა პოლონეთის რესპუბლიკის ქალაქ ბარდოს ხელმძღვანელობასთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს. მერი ასევე იმყოფებოდა პორტუგალიაში, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ასოციაცია „ანიკას“ პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება, სოციალური მომსახურება განვითარებისათვის“ ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ „ანიკამ“ ქედაში რამდენიმე სოციალური პროგრამა განახორციელა.

> ***„მერმა ჩამოთვალა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები, კერძოდ, დაიწყო დანდალოს ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული კულტურის სახლისა და ადმინისტრაციული შენობის რემონტი, ასევე, დაბა ქედაში რუსთაველის ქუჩის მიმდებარე ნაწილის კეთილმოწყობა, დაბა ქედაში მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა, შეკეთდა ზვარესა და პირველი მაისის პირველადი ჯანდაცვის ცენტრების შენობები***

მერის პირველი მოადგილე იმედა ვასაძე თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ინეგოლში იმყოფებოდა ვიზიტით. დელეგაციის წევრებთან ერთად, კავკასიის ხალხთა ფოლკლორის ფესტივალში მონაწილეობდა. იქ ქედა და ინეგოლი დამეგობრდნენ.

ხელი მოეწერა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ასოციაცია SMEDA-სთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს. ქედა მასპინძლობდა GIZ-ის წარმომადგენლებს - აკბარ მოჰაბატის და მოწვეულ ექსპერტ პეტერ ლანგის. ასევე, ქედას სტუმრობდნენ პოლონელები, იაპონიის ელჩი საქართველოში იმამურა აკირა, რომელმაც მუნიციპალიტეტს საჩუქრად ელექტრომიკროავტობუსი გადასცა.

საჯაროობა, მერიასთან მოქმედი კომისიებისა და საბჭოების საქმიანობის გაცნობა იყო და რჩება მთავარ პრინციპად. მოქალაქეებისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის წარმომადგენლებისთვის ხელმისაწვდომი იყო ბინების გამანაწილებელი, პრიორიტეტების, საკონკურსო კომისიების, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს, მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოსა და მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის მიზნით მერიის სათათბირო ორგანოს საბჭოს მუშაობა.

სხდომაზე მთავარი აქცენტი გადაიტანეს მუნიციპალიტეტის მთავარი საფინანსო დოკუმენტის - ბიუჯეტის დაგეგმარებასა და მობილიზებული თანხების მიზნობრივად გამოყენებაზე. შარშან 4,3 მილიონი ლარით გაზრდილი ბიუჯეტით - 21,7 მილიონი ლარით იმუშავეს. ეს თანხა მიმართული იყო ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, ტურიზმის განვითარებაზე, სკოლამდელი განათლების ხელშეწყობაზე, ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის სფეროების ხელშეწყობაზე.

რეგიონში ქედა პირველი მუნიციპალიტეტია, სადაც მონაწილეობითი ბიუჯეტის ფარგლებში 1,5 მილიონი ლარის პროექტები განხორციელდა. ამან ერთხელ კიდევ წარმოაჩინა სამართლიანობა, ეფექტურობა და საჯაროობა, მართვისადმი ინოვაციური მიდგომები.

შარშან კაპიტალური პროექტები იყო: საგზაო ინფრასტრუქტურა, გარემოს დაცვა, კეთილმოწყობის, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები, წყალმომარაგების უზრუნველყოფა, რომლებზეც შესაბამისად - 1,6 მლნ; 1 მლნ; 1,9 მლნ; 932 ათასი და 455 ათასი ლარი დაიხარჯა.

მერმა ჩამოთვალა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები, კერძოდ, დაიწყო დანდალოს ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული კულტურის სახლისა და ადმინისტრაციული შენობის რემონტი, ასევე, დაბა ქედაში რუსთაველის ქუჩის მიმდებარე ნაწილის კეთილმოწყობა, დაბა ქედაში მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა, შეკეთდა ზვარესა და პირველი მაისის პირველადი ჯანდაცვის ცენტრების შენობები, სოფელ კვაშტასა და ზედა მახუნცეთში მოეწყო სპორტული მინიმოედნები, მოედნები ასევე გაკეთდა დაბა ქედაში - აბუსერისძე ტბელის ქუჩის მიმდებარედ. სოფელ გეგელიძეებში, ფრიდონ ხალვაშის სახლ-მუზეუმს ჩაუტარდა რემონტი და აღიჭურვა ინვენტარით. შეკეთდა სასმელი წყლის სისტემები დაბასა და რიგ სოფლებში.

ასამდე პროექტი განხორციელდა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში. პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით, სოფლებში მეკომურთა კრებები ჩატარდა. მოსახლეობამ მობილიზებული თანხები მეტწილად, გარე განათებისა და გზების კეთილმოწყობის სამუშაოებზე გადაანაწილა. პროგრამის ბიუჯეტი 750 ათასი ლარი იყო. სოფელი აგარა იმ დასახლებების რიცხვშია, რომელსაც მეწყრული პროცესები ყველაზე მეტად აწუხებს. რეგიონალური ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხით საიმედო ტერიტორიაზე 20 ოჯახისთვის განკუთვნილი სოციალური სახლის მშენებლობა დასრულდა და 20 ოჯახი საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილდა. სოფლების, დაბის კეთილმოწყობის ფარგლებში ატრაქციონები და ტრენაჟორები შეიძინეს და დაამონტაჟეს.

აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხით დასრულდა მერისი-ნამონასტრევის და ტურისტული მნიშვნელობის 2,2 კილომეტრი საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები. ძველი საცხოვრებელი სახლების ახალი სახლებით შეცვლის პროგრამით, 3-მა ოჯახმა საყოფაცხოვრებო პირობები გაიუმჯობესა.

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირდა 37 ერთეული ქონება. ასი ერთეული ქონება სხვადასხვა უწყებას გადაეცა. 63 ერთეული სარწყავი არხი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამის სამსახურს გადაეცა მოვლაშენახვის მიზნით. 3 საექიმო ამბულატორია სახელმწიფო საკუთრებაში გადავიდა, ხოლო 7 ამბულატორია, 2 წლის ვადით სარგებლობის უფლებით, სამედიცინო ჰოლდინგს გადაეცა. 4 ერთეული ქონება კერძო საკუთრებაში გაიყიდა.

შარშან შესყიდვების საერთო მოცულობამ 10 მილიონამდე ლარი შეადგინა. ელექტრონულ სისტემაში საბოლოო სტატუსი 164 ელექტრონულ კონკურსს მიენიჭა. საკონკურსო პროცედურებით გამარტივებული შესყიდვების წესით 48 ხელშეკრულება გაფორმდა. სულ 2022 წლის განმავლობაში შესყიდვების თაობაზე 249 ხელშეკრულება გაფორმდა, 37 კონკურსი არ შედგა, 2 შეწყვიტეს და 10 უარყოფითად დასრულდა.

ქართული ჯარის შევსება, რეზერვისტების გადამზადება ისევ რჩება მერიის, თვითმმართველობის სხვა ორგანოების მთავარ მიმართულებად. სამხედრო სავალდებულო სამსახურის გასავლელად 47 წვევამდელი ჩაირიცხა. 2005 წელს დაბადებული 142 ჭაბუკი სამხედრო აღრიცხვაზე აიყვანეს, 51 მოქალაქე რეზერვში ჩაირიცხა.

20-მდე ღონისძიება მიეძღვნა ქალთა სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებას. ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაცია „ნალას" მიერ გამოცხადებულ კონკურსში ქედის მუნიციპალიტეტი დაჯილდოვდა ნომინაციაში: „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა და გენდერულად მგრძნობიარე მუნიციპალური სერვისების განვითარება“.

როლანდ ბერიძემ მიღწევებზე საუბრისას აღნიშნა, რომ ქედელი შოთა ფარტენაძე თავისუფალ ჭიდაობაში, 61 კგ წონით კატეგორიაში, საქართველოს ჩემპიონი გახდა. ქედის მუნიციპალიტეტის მერიამ მას ფულადი ჯილდო გადასცა.

მეტი დატვირთვა და შინაარსი შეიძინა სახალხო დღესასწაულმა „შემოდგომა ქედაში“ და ღვინის ფესტივალმა. მათ ორგანიზებულად ჩატარებას 31 ათასი ლარი მოხმარდა. „შუამთობის“, „ქალთა კვირეულის“ დღეებში რამდენიმე ღონისძიება გაიმართა. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა აქტიურად იყო ჩართული საღვთო დღესასწაულების გამართვაში. მერიის დაფინანსებითა და მხარდაჭერით, ორ ნაწილად გამოიცა ისტორიკოსისა და პუბლიცისტის შალვა აბაშიძის წიგნი „დედაო - ჩემო ქედაო“.

ქედის სასპორტო სკოლასთან ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის მიზნით, ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო ჯგუფები შეიქმნა. ქედაში გოგონათა საფეხბურთო გუნდი მოქმედებს. პირველ ტურნირში ქედის სასპორტო სკოლის მოხალისეთა გუნდმა გაიმარჯვა. ქართულ ჭიდაობაში, სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში, ქედას 4 ჩემპიონი ჰყავს. თბილისში გამართული საქართველოს 29-ე ჩემპიონატზე კიკბოქსინგში სამმა ქედელმა პირველი ადგილი დაიკავა.

ბოლო წლებში ქედის კულტურის ცენტრთან არსებული ფოლკლორული ანსამბლები, სასოფლო კულტურის სახლებთან მოქმედი ვოკალური და ქორეოგრაფიული ჯგუფები, ფოლკლორული ტრადიციების შენარჩუნებისა და გამრავალფეროვნებისთვის აქტიურად მუშაობენ. კულტურის ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბეთლემი“ კაბადოკიაში გამართულ სიმღერისა და ცეკვის მსოფლიო ფესტივალში მონაწილეობდა. ქედის კულტურის ცენტრმა ქართულ-პოლონურ ფესტივალს უმასპინძლა, რომელზეც გამოდიოდნენ პოლონეთის რესპუბლიკის ქვემო სილეზიის ვოკალური ანსამბლი „ჰეიშოვინა“, აჭარის სახელმწიფო ვოკალური ანსამბლი „ბათუმი“, ქედის კულტურის ცენტრთან არსებული ანსამბლები „ელესა“, „იაგუნდი“, „ბეთლემი“, ფოლკლორული ბენდი და მომღერალი ირინა დევაძე.

თბილისში გამართული ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალის „არტ-გენის“ მონაწილე იყო ფოლკლორული ანსამბლი „იაგუნდი“. აჭარის განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში გამართულ ღონისძიებაზე, ნომინაციაში - „წლის ფოლკლორის შემოქმედი“, ლოტბარი, ანსამბლ „ელესას“ ხელმძღვანელი ირაკლი სირაბიძე დაჯილდოვდა.

საქართველოს ფოლკლორის ეროვნულ ფესტივალზე, რომელიც მიეძღვნა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის დაბადების 90 და ინტრონიზაციის 45 წლისთავს, ქედის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრთან არსებულ ქორეოგრაფიულ, ვოკალურ ანსამბლებს, ინდივიდუალურ შემსრულებლებს ფულადი ჯილდოები გადაეცათ.

ამოქმედდა სამი ახალი პროგრამა: 18 წლამდე ასაკის შშმ პირთა მოვლის საჭიროებისათვის ფინანსური დახმარების უზრუნველყოფა; სტიქიით დაზარალებული ოჯახებისთვის ბინის ქირის გაცემა; მარტოხელა სტატუსის მქონე პირების ფინანსური დახმარება. 14 სოციალური და ჯანდაცვის პროგრამა განხორციელდა, რომლის საერთო ღირებულება თითქმის ერთი მილიონი ლარია. სოციალურად დაუცველთა უფასო კვებით უზრუნველსაყოფად 30,7 ათასი ლარი დაიხარჯა. 71,7 ათასი ლარი მოხმარდა ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიტუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზებისა და დახმარების პროგრამას. 4 და მეტშვილიან ოჯახებზე 100,5 ათასი ლარი გაიცა ერთჯერადი დახმარების სახით. 99,4 ათასი ლარი მოხმარდა საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზებული სახურავების შეცვლას. 191,2 ათასი ლარია გაწერილი ამბულატორიული მომსახურების პროგრამისთვის, სოფლად მცხოვრებთა სამედიცინო მომსახურებისათვის - 153,4 ათასი ლარი, ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსებისთვის - 88,9 ათასი ლარი.

მერის ანგარიშთან დაკავშირებით, საკრებულოს წევრებმა მოსაზრებები გამოთქვეს და იგი ცნობად მიიღეს.

# შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებისთვის

ამერიკის შეერთებულ შტატებში უკრაინის ელჩმა ოქსანა მარკაროვამ განაცხადა, რომ აშშ-ის რესპუბლიკელი და დემოკრატი სენატორების ორპარტიულმა ჯგუფმა „2023 წელს შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების შესახებ“ კანონპროექტი წარადგინა.

კანონპროექტი მოიცავს უკრაინისთვის, საქართველოსთვის, რუმინეთისთვის, ბულგარეთისა და მოლდოვასთვის უსაფრთხოების სფეროში დახმარების გაზრდას; რეგიონში რუსულ ოპერაციებზე სადაზვერვო სისტემების პრიორიტეტიზაციას; ერთობლივი მრავალეროვნული შტაბის შექმნას, რომელიც შავ ზღვაში აშშ-ის მოკავშირეებისა და პარტნიორების ყველა სამხედრო აქტივობის დაგეგმვა-კოორდინაციაზე იქნება პასუხისმგებელი. კანონპროექტი, ასევე, რუსული დეზინფორმაციისა და პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურებასა და სხვა ღონისძიებებს ითვალისწინებს.

სენატში წარდგენილი კანონპროექტი, განსაკუთრებით - უკრაინის წინააღმდეგ რუსული აგრესიის გაგრძელების ფონზე, როგორც აშშ-ის ეროვნული, ისე ევროპისა და გლობალური უსაფრთხოებისთვის შავი ზღვის რეგიონის მნიშვნელობას უსვამს ხაზს. პირველი ასეთი კანონპროექტი სენატში შარშან შევიდა და მისი დებულებები ამ პროექტში შენარჩუნებულია. დოკუმენტი ითვალისწინებს აშშ-ის უფრო აქტიურ და მტკიცე საგარეო პოლიტიკას შავი ზღვის რეგიონის მიმართ, მათ შორის კოორდინაციის გაძლიერებას აშშ-ს, ნატოსა და ევროკავშირს შორის, ასევე, ეკონომიკური კავშირების გამყარებას აშშ-ისა და შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებს შორის.

კანონპროექტი მოითხოვს, მიღებიდან 180 დღის შემდეგ წარდგენილ იქნეს უწყებათაშორისი სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავს რეგიონის ქვეყნებთან აშშ-ის სამხედრო დახმარების გაზრდას, ნატო-ევროკავშირის კოორდინაციას, ეკონომიკური კავშირების გაღრმავებას, დემოკრატიის გაძლიერებას, ეკონომიკურ უსაფრთხოებასა და ზოგადად, უსაფრთხოების სფეროში დახმარების გაზრდას.



**ამირან გურიელიძე**

# „ჩემი საქმიანობა უშუალოდ „ისტორიასთანაა“ დაკავშირებული“



*ქვეყნის ისტორიული წარსული, მისი უძველესი ციხესიმაგრეები, კულტურა და ქალაქის ღირსშესანიშნაობები რომ უცხოელ სტუმარს გააცნო, საჭიროა გქონდეს არა მარტო ფართო განათლება სხვადასხვა სფეროში, არამედ აღჭურვილი იყო კარგი პიროვნული თვისებებით, მით უფრო, თუ გიდის პროფესიას ხარ ნაზიარები. სწორედ ასეთია ჩვენი დღევანდელი სტუმარი ხათუნა ძილაძე, რომელიც ამ სფეროს თვალსაჩინო წარმომადგენელია*

- მთელი ჩემი ცხოვრება დაკავშირებულია გონიოს ციხესთან, აქ დავიბადე, აქ გავიზარდე, ბავშვობაში არაერთხელ დამილაშქრავს ეს ტერიტორია. წლებია ვმუშაობ გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალში გიდის პოზიციაზე. ვარ საქართველოს ისტორიის მაგისტრი. ვიტყვი, რომ ძალიან გამიმართლა, რადგან ისტორიულ ადგილას და გრანდიოზული ძეგლის გვერდით გავიზარდე, გონიოს ციხის სამუზეუმო ცხოვრება და სისტემატური კვლევა-ძიება 1994 წლიდან დაიწყო. ყოველივე ეს ჩემს თვალწინ ხდებოდა, შესაბამისად, ვეცნობოდით ციხის ისტორიას, ახალ აღმოჩენებს. ალბათ, ამან გამიმძაფრა საქართველოს ისტორიისადმი ინტერესი და სიყვარული, რამაც დიდი როლი ითამაშა ჩემი პროფესიის არჩევაში. სტუდენტობიდანვე ჩავერთე გონიო-აფსაროსის სამუზეუმო ცხოვრებაში.

**- კარგად იცოდე შენი ქალაქის და ქვეყნის ისტორია, თითოეული ადამიანის, მით უმეტეს, ისტორიკოსის და გიდის ვალდებულებაა...**

- სამშობლოს და საკუთარი ქვეყნის ისტორია, მეტ-ნაკლებად, ყველამ იცის, ხოლო რაც შეეხება ისტორიულ-კულტურულ ძეგლებს, მუზეუმებს, დაცულ ტერიტორიებს, მათ შესახებ სრულყოფილ ინფორმაციას, უშუალოდ ობიექტის მონახულებით ვიღებთ. მოგეხსენებათ, ჩვენი რეგიონი ტურიზმის მხრივ, საკმაოდ მზარდი და საინტერესოა, მოსახლეობის დიდი ნაწილი აქტიურადაა ჩართული ამ სფეროში. ამიტომ, ისინი კარგად უნდა იცნობდნენ ისტორიას და ფლობდნენ ინფორმაციას რეგიონში არსებული ღირსშესანიშნაობის შესახებ. ტურიზმი მრავალფეროვანი სფეროა და მასში შემავალი თითოეული კომპონენტი - საინტერესო და მნიშვნელოვანი.

**- როგორც ცნობილია, 2022 წელს, გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი დასახელდა ყველაზე ხშირად ვიზიტირებად მუზეუმად, ამის შესახებაც გვიამბეთ...**

- ჩვენს მუზეუმს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან უამრავი ვიზიტიორი სტუმრობს. თუ წინა წლებში ამას სეზონური ხასიათი ჰქონდა, ახლა წელიწადის ნებისმიერ დროს გვყავს დამთვალიერებელი. მათი რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს. 2022 წელს კი, შეიძლება ითქვას, რეკორდული მაჩვენებელი გვქონდა. რაც ძალიან მეამაყება.

**- ახალს არაფერს ვიტყვი თუ აღვნიშნავ, რომ გიდის პროფესია ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლოა. კარგი გიდი რა თვისებებით და ცოდნით უნდა იყოს აღჭურვილი?**

- გიდს უნდა უყვარდეს თავისი პროფესია, იყოს კომპეტენტური, მეტყველებდეს კარგად, იყოს პოზიტიური, მუდმივად ეცნობოდეს სიახლეებს. პროფესიონალ გიდს კარგად შეუძლია წარმოაჩინოს თავისი ქვეყანა.

**- გონიოს ციხის დათვალიერებისას რა კითხვებს გისვამენ სტუმრები და პასუხის შემდეგ, დამატებითი კითხვები თუ უჩნდებათ?**

- გიდის სერვისით ხშირად იმიტომ სარგებლობენ ვიზიტიორები, რომ კითხვები დასვან და კომპეტენტური პასუხი მიიღონ. მათ ყველაფერი აინტერესებთ: საქართველოს ისტორია, ქართველთა წარმომავლობა, ქართული სამზარეულო, ტრადიციები, ჩვენი ფლორა და ფაუნა...

**- დასავლეთის გამოცდილებას თუ ეცნობით?**

- შეძლებისდაგვარად ვეცნობით, ვმონაწილეობთ ტრენინგებში.

**- რა პრობლემაა დღეს ამ სფეროში და როგორ აგვარებთ მათ?**

- დღეს ყველა ცდილობს მოირგოს გიდის როლი, იმატა არაპროფესიონალ გიდთა რიცხვმა, სამწუხაროდ, ამის გაკონტროლება შეუძლებელია. პირადად მე მრავალწლიანმა მოღვაწეობამ შემძინა გიდისთვის საჭირო უნარ-ჩვევები, მასწავლა სხვადასხვა ტიპის ადამიანებთან ურთიერთობა. ვცდილობ, ჩემი ყველა ექსკურსია იყოს ინდივიდუალური და საინტერესო.

**- პროფესია რამდენად გიწყობთ ხელს თქვენი პიროვნების რეალიზებაში?**

- პროფესია მიადვილებს საქმიანობას ამ სფეროში, რადგან იგი უშუალოდ ისტორიასთანაა დაკავშირებული.

**- თავი წარმატებულად მიგაჩნიათ?**

- ალბათ, კი, რადგან ვაკეთებ ჩემთვის საყვარელ საქმეს.

**- ბათუმში ჩამოსულ სტუმარს, პირველად რის ნახვას ურჩევდით?**

- ვურჩევ ბათუმის ბულვარში ფეხით გასეირნებას, გონიოსა და პეტრას ციხის, ბოტანიკური ბაღის, ქალაქში არსებული მუზეუმების მონახულებას. თუ დროში შეზღუდულები არიან, აუცილებლად ესტუმრონ აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმს, სადაც მიიღებენ ინფორმაციას აჭარის ფლორასა და ფაუნაზე, ისტორიულ გეოგრაფიაზე, ეთნოგრაფიასა და არქეოლოგიაზე, კულტურაზე და ა.შ. ანუ მიიღებენ ზოგად ინფორმაციას რეგიონის შესახებ.

**- ბათუმი და თქვენ...**

- ჩემთვის ბათუმი სიმშვიდესთან, სითბოსთან და სიყვარულთან ასოცირდება.

**- სამომავლო გეგმები...**

- მსურს ბევრი ვიმოგზაურო, საქართველოს ყველა კუთხე მოვინახულო, სანახავი კი ძალიან ბევრია, ამოუწურავია ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა.

**- კითხვა, რომელიც ხშირად გაფიქრებთ და პასუხს მოითხოვს?**

- საქართველოს ბედი მაფიქრებს - როგორ განვითარდება, როგორ საქართველოში იცხოვრებენ ჩვენი შვილები.

> *„დღეს ყველა ცდილობს მოირგოს გიდის როლი, იმატა არაპროფესიონალ გიდთა რიცხვმა, სამწუხაროდ, ამის გაკონტროლება შეუძლებელია. პირადად მე მრავალწლიანმა მოღვაწეობამ შემძინა გიდისთვის საჭირო უნარ-ჩვევები, მასწავლა სხვადასხვა ტიპის ადამიანებთან ურთიერთობა. ვცდილობ, ჩემი ყველა ექსკურსია იყოს ინდივიდუალური და საინტერესო*



## უკრაინა

გერმანია უკრაინას დამატებით 12 მილიარდი ევროს ოდენობის სამხედრო დახმარებას გადასცემს. ინფორმაციას ამის შესახებ Reuters-ი ავრცელებს. გამოცემის თანახმად, გერმანიის პარლამენტის საბიუჯეტო კომიტეტმა გაუთვალისწინებელი საბიუჯეტო ხარჯები დააკმაყოფილა, რისი მოთხოვნაც თავდაცვისა და საგარეო საქმეთა სამინისტროების მხრიდან არსებობდა. დამატებითი დაფინანსება მოიცავს 3.2 მილიარდ ევროს, რომელიც უკრაინას 2023 წელს უნდა გადაეცეს და საკრედიტო ტრანშებს 2024-დან 2032 წლამდე პერიოდისთვის, რომლებიც ჯამში დაახლოებით 8.8 მილიარდ ევროს შეადგენენ. „ამ ფულით უკრაინა გერმანიის მთავრობის მხარდაჭერით შეიარაღების პირდაპირ შეძენას შეძლებს. მნიშვნელოვანია უკრაინას იმდენ ხანს ვეხმარებოდეთ, რამდენიც საჭიროა“, - გამოცემის თანახმად, ამის შესახებ აღნიშნულია გერმანიის სამთავრობო კოალიციის სამი პოლიტიკოსის ერთობლივ განაცხადებაში.

* * *

ბოროტებამ ომი უნდა წააგოს. თუ ეს ასე იქნება, ეცოდინება, რომ ყველგან წააგებს, - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენის მიერ ორგანიზებულ „დემოკრატიის სამიტზე“ ვიდეოჩართვისას განაცხადა. „პირველი, არ უნდა ვიფიქროთ, როგორ გადავარჩინოთ პუტინის სახე, ჩვენ უნდა ვიფიქროთ, როგორ შევინარჩუნოთ დემოკრატიის პატივისცემა იმ ქვეყნებში, სადაც თავისუფლებას ჯერ კიდევ არ გაუმარჯვია. მეორე, დემოკრატიის დამცველებს უნდა ჰქონდეთ ყველა ის იარაღი, რომელიც საიმედოდ იქნება აგრესორის დამარცხების გარანტი. მესამე, რუსებმა წვლილი უნდა შეიტანონ კრემლისაგან მსოფლიოს დაცვაში. მისი თქმით, დემოკრატიას გამარჯვება წელსვე სჭირდება და არა დროთა განმავლობაში. „როდესაც ჩვენი მებრძოლები იგერიებენ თავდასხმებს ბახმუტის მახლობლად, ისინი კვირების განმავლობაში ვერ დაელოდებიან, სანამ მტრის ქმედებების საპასუხოდ საარტილერიო გასროლას განახორციელებენ. ცეცხლი უნდა იყოს დაუყოვნებელი და გაანეიტრალოს საფრთხე. ყველა ჩვენი გადაწყვეტილება ასეთივე სწრაფი უნდა იყოს. დემოკრატიას გამარჯვება სჭირდება. ახლავე! წელს! არა სხვა დროს. არა დროთა განმავლობაში, არამედ ახლავე და ჩვენ შეგვიძლია ამის უზრუნველყოფა, უკრაინას და ყველას, ვინც გვეხმარება და დარწმუნებული ვარ, გავაკეთებთ! მაგრამ იმოქმედეთ, იმოქმედეთ გთხოვთ, კოლეგებო!“, - აღნიშნა ზელენსკიმ.

* * *

ქალაქ ბახმუტისთვის ბრძოლაში „ვაგნერის“ დაახლოებით 6 000 მებრძოლი იბრძვის, - ამის შესახებ აშშ-ის არმიის შტაბის უფროსმა, გენერალმა მარკ მილიმ განაცხადა. მისი თქმით, „ვაგნერი“ ბახმუტის მიდამოებში დიდ დანაკარგებს განიცდის. „ის უზარმაზარ მსხვერპლს განიცდის ბახმუტის ტერიტორიაზე; უკრაინელები ბევრ მათგანს ანადგურებენ“, - განაცხადა ამერიკელმა გენერალმა და დასძინა, რომ ბახმუტი რუსებისთვის „სასაკლაოდ იქცა“. ცნობისთვის, „ვაგნერის“ ხელმძღვანელმა ევგენი პრიგოჟინმა განაცხადა, რომ ქალაქისთვის ბრძოლამ „პრაქტიკულად გაანადგურა უკრაინის არმია“, მაგრამ „ვაგნერიც“ საკმაოდ დაზარალდა.

* * *

რუსულმა ძალებმა ხარკოვის სამოქალაქო ინფრასტრუქტურა და კერძო სახლები S-300 ტიპის რაკეტებით დაბომბეს, - ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს. მათივე ცნობით, რუსებმა ხარკოვს ბელგოროდის ოლქის ტერიტორიიდან დაარტყეს. „რუსეთის საოკუპაციო ჯარებმა კვლავ დაბომბეს ჩვენი ქალაქი. დაბომბვა განხორციელდა ნოვობავარსკის რაიონში“, - განაცხადა ხარკოვის საოლქო პროკურატურის სპიკერმა დიმიტრი ჩუბენკომ. მისი თქმით, ინფრასტრუქტურულ ობიექტებსა და კერძო სახლებს, სულ მცირე, ექვსი S-300 ტიპის რაკეტა მოხვდა.

* * *

ბუჩა. ოკუპაციის 33 დღე. დაიღუპა 1400-ზე მეტი ადამიანი, მათ შორის 37 ბავშვი. 175-ზე მეტი ადამიანი მასობრივ საფლავებსა და წამების კამერებში იპოვეს, - წერს უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი „ტელეგრამის“ არხზე, სადაც ქალაქ ბუჩას ოკუპაციიდან გათავისუფლების წლისთავს ეხმაურება. „რუსეთის მიერ ჩადენილი ომის დანაშაულის 9 000 ფაქტი. 365 დღე მას შემდეგ, რაც ის კვლავ თავისუფალი უკრაინული ქალაქი გახდა. ოკუპანტი ქვეყნის ჯარის ბოროტმოქმედების სიმბოლო. ჩვენ არასდროს ვაპატიებთ. ჩვენ ყველა დამნაშავეს დავსჯით“, - წერს ზელენსკი.

* * *

აშშ-ში Patriot-ის საჰაერო თავდაცვის სისტემებზე უკრაინელი სამხედროების მომზადება დასრულდა. ამის შესახებ აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის სპიკერმა პატრიკ რაიდერმა ბრიფინგზე განაცხადა. რაიდერის თქმით, ფორტ სილში 65-მა უკრაინელმა ჯარისკაცმა წვრთნები დაასრულა და ევროპაში დაბრუნდა. მან აღნიშნა, რომ ამ თვის ბოლოს 4000-ზე მეტი უკრაინელი ჯარისკაცი გაივლის კომბინირებულ წვრთნას გერმანიაში, მათ შორის ორი ბრიგადა - ერთი აღჭურვილია Bradley-ის ქვეითთა საბრძოლო მანქანებით, მეორე კი Stryker-ით. რაიდერის თქმით, რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის დაწყებიდან შეერთებულმა შტატებმა 7 ათასამდე უკრაინელი სამხედრო მოამზადა.

* * *

იაპონია უკრაინას დახმარების ახალ პაკეტს გადასცემს. ამის შესახებ ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს. უკრაინაში იაპონიის სრულუფლებიანმა ელჩმა კუნიორი მაცუდამ და უკრაინის ვიცე-პრემიერმა რეკონსტრუქციის საკითხებში, უკრაინის თემების, ტერიტორიების და ინფრასტრუქტურის განვითარების მინისტრმა ალექსანდრ კუბრაკოვმა კიევში ხელი მოაწერეს შეთანხმებას 53 072 მილიარდი იენის (400 მილიონი დოლარი) საგრანტო მხარდაჭერის შესახებ. ეს თანხა გამნაღმველი ტექნიკის შესაძენად, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისთვის, სოფლის მეურნეობის საჭიროებებისთვის და მთავრობის მხარდაჭერისთვის დაიხარჯება. გარდა ამისა, 28 მარტს იაპონიის მთავრობამ გადაწყვიტა, კიევს, გაეროს მეშვეობით, 70 მილიონი დოლარი გამოუყოს. „ეს პროექტი ხელს შეუწყობს რუსული თავდასხმების შედეგად დაზიანებული ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის აღდგენას და ამით გაზრდის ენერგომომარაგებას თბოელექტროსადგურებისთვის, რომლებიც უკრაინის მოსახლეობას ელექტროენერგიით, სითბოთი და წყლით ამარაგებს“, - აცხადებენ იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროში.

**მოამზადა
ნაირა ფუტკარაძე**

# «მრავალი შვილი მრავალი დარდია»

*სადაცაა, შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯაბნიძეების მკვიდრი* ***უმიან ცინარიძე-მუკუტაძე*** *საუკუნეს მიითვლის. 6 შვილის გამზრდელი დედა, 20 შვილიშვილის, 55 შვილთაშვილისა და 18 შვილთაშვილისშვილის მომსწრე თავს მხნედ გრძნობს. ამაყობს, რომ მისი ასაკისა და შთამომავლობის რიცხვი ერთმანეთს გაუტოლდა. საუკუნეს მიტანებული ქალბატონი ჩვენი სტუმარია.*



- 75-მა წელმა როგორ ჩაიქროლა, არ ვიცი. თავი სიზმარში მგონია. ადამიანი ბედნიერი რომ იყო, შთამომავლობაც სიკეთით რომ მოდიოდეს, წარსულს არც უნდა გამოეტირო და აძაგო. აფხაკეთა, სადაც 75 წელია ვცხოვრობ და ვშრომობ, ერთი პატარა უბანია, მაგრამ სამი სოფლის ტერიტორიას მოიცავს. ჩემი მეზობლები დაბაძველელი მუხამედ ზოიძე, ოსმან, ნური, ქერემ დიასამიძეები, ცინარეთელი ხუსეინ აბუსელიძე, მუხამედ კეჟერაძე და სხვები იყვნენ. ჯაბნიძეებიდან მხოლოდ ერთი ოჯახი ვიყავით, ახლაც ასეა. ერთმანეთის ჭირ-ვარამის გამზიარებლები ვიყავით ყოველთვის. უბანში, რადგან სოფლების ცენტრებს 4-5 კილომეტრით მოშორებული იყო, დაწყებითი სკოლის გახსნა მოვითხოვეთ. განცხადებით შუახევის რაიონის ხელმძღვანელობას რომ მივმართეთ, გაუკვირდათ, რა უბანია ასეთი, სადაც სამი სოფლის წარმომადგენლები სახლობთო. სკოლის ხის შენობა ჩვენი ინიციატივით ავაგეთ. ოსტატი ჩემი მეუღლე იყო. ექვსივე შვილმა იმ კერაში მიიღო დაწყებითი განათლება. უბანში ექიმი, ინჟინერი, ეკონომისტები, ჟურნალისტი, იურისტი, აგრონომი, პედაგოგი გვყავდა. ვერ დავივიწყებ პედაგოგების ლევან ზოიძის, სიმონ დავითაძის ამაგს.

**- ახლა უბანში რა მდგომარეობაა?**

- მუხამედ ზოიძის, ოსმან, ქერემ დიასამიძეების ნასახლარებიღა შემოგვრჩა. ორი ვაჟისა და ოთხი ქალიშვილის გამზრდელმა დედამ იმდენი შევძელი, რომ ჩემი და ახმედის ნაჯაფ-ნაამაგარი არ გავავერანე. ეზო ეკალ-ბარდისა და ჭინჭრის სამფლობელო არ გავხადე. მიხეილმა და აივაზმა შვილიშვილების დახმარებით მოძველებულ შენობას მეორე სიცოცხლე დაუბრუნეს. გაზაფხულის მოსვლა მიხარია. ეზოში ჩემს ნებაზე გავივლი, ხილს შევაგროვებ, არაყსაც ერთად გამოვხდით. გული მაინც მტკივა, რომ უბანი დაგვიცარიელდა. წინა საუკუნის 80-იან წლებში ეზოებამდე საავტომობილო გზა რომ გამოვიყვანეთ, 15 შენობიდან კვამლი ამოდიოდა, 15 ოჯახიდან მამალი გათენებას გვაუწყებდა, ყველას ცხვარ-ძროხა გვყავდა. ახლა მხოლოდ ორ ოჯახს ჰყავს ძროხები. თხისა და ცხვრის ჭაჭანება აღარსადაა. მე შთამომავლობა მალამაზებს და მაძლიერებს, ქვეყნის ძლიერების ხერხემალი ქართული სოფელია. ტრაბახით ადამიანი ვერ გამდიდრდება, არაფრისმთქმელი მოწოდებებით ქვეყანა ვერ გაძლიერდება. ყაირათიანობაც საჭიროა. მუხის, ფიჭვისა და ნაძვის კორომები უბანს ალამაზებდა. გაჩეხეს, გაზიდეს, ზოგიც ადგილზევე დაალპეს... ეს ტყეები ჩვენი წინაპრების კუთვნილება იყო.

**- ასეთ განცალკევებულ უბანში ცხოვრება ალბათ რთულია.**

- მრავალშვილიანი ოჯახის სამყოფი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებიც მოგვყავდა და ნამატი პროდუქტები ქვეყნის ბაზარზე გაგვქონდა. მეზობლის ეზოში მდგარი კაკლის ხე 100-150 კილოგრამ ნაყოფს იძლეოდა. აღარავინ რომ აღარ მიხედა, ტოტები შეახმა, ბოლოს ფესვებიანად მოთხარეს და... ტყეში პანტის ნერგს რომ წავაწყდებოდით, ეზოში დავრგავდით. მსხლის, ვაშლის ადგილობრივი, უხვმოსავლიანი ჯიშები მივიწყებას ეძლევა. ქერემ დიასამიძის ეზოში სასელა მსხალი იყო. ის დალოცვილი იმდენ ნაყოფს იძლეოდა, რომ მეზობლებსაც გვიწილადებდა. ახლა ეზოებს აღარც სასელა შემორჩა, აღარც მსხალთაფლა, ბოქშვა და ბარაქა. დემირა ვაშლიც სანატრელ-საძებარი გაგვიხდა. ის დალოცვილი სამკურნალო თვისებით გამორჩეული იყო და ზაფხულამდე არც ფუჭდებოდა. ჩვენმა წინაპარმა მიწის ფასიცა და მისი ნობათის მოხმარება უმაღლეს დონეზე იცოდა. ღმერთმა არ ქნას, რომ ქართული სოფელი თავზე ჩამოგვექცეს, მეტი ყურადღება გვჭირდება, ამას ხაზი მინდა გავუსვა. უფროსი ვაჟი მიხეილი მშენებელი ინჟინერია. მისი აშენებული სკოლები, საცხოვრებელი სახლები შუახევში მრავლადაა, ახლა კომპანია «ანაგში» მუშაობს. მისი შვილიც მამის გზას აგრძელებს. შვილიშვილი შემპირდა, რომ საუკუნის იუბილეს აფხაკეთაში, ჩემს ეზოში გაშლილ სუფრასთან გადამიხდის. თამადაც საძებარი არ იქნება. შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე ზაზა დავითაძე ოჯახში მესტუმრნენ, დედის დღე სამახსოვრო საჩუქრით მომილოცეს. როსტომი თამადობასაც შემპირდა. გაზაფხულიდანვე შვილებს, შვილიშვილებს მოვუხმობ. თავის დროზე მოწესრიგებული კარმიდამო მქონდა, სტუმრებს ახლაც ასეთს დავახვედრებ, მაგრამ უბედურება ისაა, რომ უბანს, სოფელს მარტო ასაკოვანი ადამიანები შემოვრჩით. იყო წლები, როცა აფხაკეთას დაწყებით სკოლაში 15 მოსწავლე იყო. ახლა უბანში სასკოლო ასაკის ერთი ბავშვია, ისიც ჩემი შვილიშვილია. ყოველ დილით მანქანა ეზოსთან აკითხავს და გაკვეთილების შემდეგ ისევ მოჰყავს. მთავრობა ჩვენზე ასე რომ ზრუნავს, ჩვენც ხელი უნდა გამოვიღოთ.

**- შვილმრავალ დედას ბევრი საზრუნავი აქვს, მაგრამ ამას დიდი ბედნიერებაც ახლავს, ხომ ასეა?**

- ასაკი რომ მემატება, შთამომავლობა ყოველ წელს ახალი წევრით რომ მატულობს, თავს უბედნიერეს ადამიანად მივიჩნევ. შარშან ქალიშვილ შუშანას (ლილი), 6 შვილის დედას დაბადებიდან 70 წლის იუბილე გადავუხადეთ. მხოლოდ ჩემი შთამომავლები ისხდნენ სუფრასთან. მეც საპატიო ადგილი მიმიჩინეს. რესტორნის მეპატრონეები გაოცებულნი დარჩნენ, როცა ვუთხარი, რომ ყველა ჩემი შთამომავალია. სასიხარულო სუფრასთან სადღეგრძელოს თქმაც ჯერ კიდევ შემიძლია და ღვინით სავსე ფიალის დაცლაც. ნათქვამია, მრავალი შვილი მრავალი დარდიაო. პირველი ვაჟი მიწას მივაბარე, აუტანელი ტკივილი იყო, მაგრამ თურმე ჯერ სადა ხარ? ადამიანი ყველაფერს იტანს. სიძე სოსო აბუსელიძე რომ გარდაიცვალა, შუშანას მეექვსე შვილი, ვლასი, ჩვილი იყო. მეც მეუღლე გარდაცვლილი მყავდა. დედა-შვილი ერთად ვეჭიდებოდით ცხოვრებას. დიდი ჯაფითა და წვალებით შვილები დაზარდა, ქალიშვილები დაათხოვა, ვლასმაც ოჯახი შექმნა. შვილიშვილები გაწეულ ამაგს მიფასებენ, გამორჩეულად ლიკა და მზევინარი მეფერებიან. ყველაზე აუტანელი მაინც აივაზის შვილის გარდაცვალება გამოდგა. ორი ობოლი დაგვიტოვა. რძალსა და შვილთაშვილებს თავს ვევლები, მსურს, როგორმე ვარამი შევუმსუბუქო.

**- მრავლის მომსწრესა და მნახველს აუსრულებელ ოცნებად რა გრჩებათ?**

- რა გითხრათ (იცინის), იმ ადამიანებმა, რომლებიც იარაღს აჟღარუნებენ, შეიგნონ, რომ კაცთაკვლა სიკეთის მომტანი არასოდეს ყოფილა. სოფელში მდიდარ კაცად მას მიიჩნევდნენ, ვისაც ცხენი და უღელი ხარი ჰყავდა. ოცნებად მრჩებოდა, რომ მსუბუქი ავტომანქანა ჩემს ეზოშიც გაჩერებულიყო და ამ დღესაც მოვესწარი. ახლა უფალს მხოლოდ იმას ვევედრები, შთამომავლები ჯანმრთელად იყვნენ. აუხდენელ ოცნებად უმაღლესი განათლების მიღება დამრჩა. კლასში ყველაზე ნიჭიერი მოსწავლე ვიყავი, მაგრამ ხელმოკლეობის გამო სწავლის გაგრძელებაზე უარი მითხრეს. პრესა, წიგნი მიყვარდა. ახლა ისინი ტელევიზიამ ჩაანაცვლა. მეუღლესთან ერთად შევძელი, რომ შვილებს სწავლა-განათლება მიეღოთ. ტერიტორიას, სადაც ვცხოვრობ, ჯაბნიძეებლები «გაღმითს» ეძახიან. ადრე ერთმანეთს ამბავს გადაძახილით ან თეთრეულის მიწაზე დაფენით ვაგებინებდით, ახლა კი მობილური ტელეფონით ერთ საათში ყველას ჩამოვუვლი. შვილიშვილები სასაუბრო თანხას მირიცხავენ, სამაგიეროდ, პენსიას ვუწილადებ ხოლმე. არ მომწონს, ხანდაზმულები ჭირის დღისთვის თანხას რომ აგროვებენ. სიცოცხლეში იმდენი მადლი უნდა აკეთო, რომ წუთისოფლიდან წასულს სათანადო პატივი მოგაგონ.

**- რა არის თქვენი დღეგრძელობის საიდუმლო?**

- უფლის ნების გარეშე არაფერი იქნება. დედისეულ გენში ჩემს ასაკამდე არავის მიუღწევია. ყოველთვის დალხინებული ცხოვრება მქონდა-მეთქი, ამასაც ვერ ვიტყვი. მეორე მსოფლიო ომი, ომისშემდგომი ქარტეხილები, კოლექტივი, 6 შვილის გაზრდა და ფეხზე დაყენება, ცხოვრების გაუთვალისწინებელი, მოულოდნელი დარტყმები ადამიანის ჯანმრთელობაზე დადებითად არ აისახება. უფლის წყალობით, ყველაფერს გავუძელი. სიცოცხლე არავის მოსჭარბებია, მაგრამ ჩემთვის ის განსაკუთრებით ძვირფასია. სათვალეებს ვიყენებ, სამაგიეროდ სმენა და მეხსიერება კარგი მაქვს. ყველა შთამომავალს დაბადების დღეს შეხსენების გარეშე ვულოცავ.

**- ისინი როგორ გპასუხობენ?**

- პირველ რიგში, რესტორნებსა და კაფეებში მპატიჟებენ, ჩემს დაბადების დღეზე თბილისიდან, ქვეყნის სხვა კუთხეებიდან ჩამოდიან და საერთო სუფრას შლიან. საცეკვაოდაც მიწვევენ. ბოლო დროს კიდურების ტკივილი მაწუხებს და ცეკვაზე აღარ ვყაბულდები, არადა, თავის დროზე კარგი მოცეკვავე და მსახიობის ნიჭით დაჯილდოებულიც ვიყავი. თანატოლ გოგონებთან ერთად სოფლის ანსამბლში ვმღეროდი, სპექტაკლებსა და სკეტჩებში ვმონაწილეობდი. მახსოვს, მეორე მსოფლიო ომის წლებში სასოფლო კლუბის სცენაზე ილია ჭავჭავაძის «კაკო ყაჩაღის» (ასე მოიხსენია პოემა «რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ») ინსცენირება იყო. როლი მეც მომცეს და საუკეთესოდ მოვირგე. დღისით მინდორში ვმუშაობდით, საღამოს სოფლის კლუბში ვიკრიბებოდით, მუნჯ კინოფილმებს ვუყურებდით, ცეკვა-სიმღერით ვერთობოდით. გაჭირვება აუტანელი იყო, მეგობრობა და კეთილი ურთიერთობა კი გამოსავალი. სოფლის ხელმძღვანელები გოგო-ბიჭებს ნაშრომს გვიწონებდნენ, ხელოვნებას გვიქებდნენ. ახლა შვილიშვილები, შვილთაშვილები რაღაცის მიმართ მისწრაფებას რომ გამოიჩენენ, ყოველთვის მხარს ვუჭერ. არ მინდა, ჩემსავით მათაც დარჩეთ აუხდენელი ოცნება. ცხოვრება მკაცრი გამოცდაა, ამასთან კარგი გაკვეთილიცაა. იმ დროს ყველა სიძნელე მარტო მე რომ გამომეცადა, გული ძალიან დამწყდებოდა, მაგრამ ჩემ მსგავსად სოფლის დუხჭირმა ცხოვრებამ, გოგონებისადმი არასწორმა დამოკიდებულებამ მრავალ ნიჭიერ გოგონას საკუთარ შესაძლებლობებზე უარი ათქმევინა. საბედნიეროდ, ყველაფერი წარსულში დარჩა, ჩემი შთამომავლები სახეს არც ჩადრში მალავენ და ცხოვრების ყველა სფეროში სიტყვას ამბობენ, ქვეყნის აღმშენებლობაში პირადი წვლილი შეაქვთ. ეს ყველაფერი 80 წლის წინ რომ მეთქვა, გიჟად მომნათლავდნენ.

> ,, *ის დალოცვილი იმდენ ნაყოფს იძლეოდა, რომ მეზობლებსაც გვიწილადებდა. ახლა ეზოებს აღარც სასელა შემორჩა, აღარც მსხალთაფლა, ბოქშვა და ბარაქა. დემირა ვაშლიც სანატრელ-საძებარი გაგვიხდა. ის დალოცვილი სამკურნალო თვისებით გამორჩეული იყო და ზაფხულამდე არც ფუჭდებოდა. ჩვენმა წინაპარმა მიწის ფასიცა და მისი ნობათის მოხმარება უმაღლეს დონეზე იცოდა. ღმერთმა არ ქნას, რომ ქართული სოფელი თავზე ჩამოგვექცეს, მეტი ყურადღება გვჭირდება, ამას ხაზი მინდა გავუსვა*

# ფერმერები პროგრამით წელსაც ისარგებლებენ

შუახევში, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, ყველა სოფელსა და ხიჭაურის დასახლებაში მეკომურთა კრებები გაიმართა. დამსწრეთა ნაწილმა აღნიშნა, რომ „სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ხვნა-თესვის“ პროგრამით დროულად ვერ ისარგებლა. წელს ამ კამპანიის მიზნობრივად და ორგანიზებულად წარმართვის მიზნით, ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ დირექტორმა რაულ თავართქილაძემ ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების თვითმმართველობების ხელმძღვანელებთან ერთად, სამუშაო შეხვედრა გამართა.

შუახევში გამართულ შეხვედრას მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, მერის მოადგილე გურამ ზოიძე, მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში და აგროსერვის ცენტრის თანამშრომლები ესწრებოდნენ. მათ შეხვედრის მონაწილეებს ინფორმაცია მიაწოდეს ხვნა-თესვის პროგრამასთან დაკავშირებით.



- მესამე წელია, მუნიციპალიტეტში ეს პროგრამა ხორციელდება. წელს 160 ჰექტარამდე სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები დაიხვნება. შეხვედრის მონაწილეებს მივეცით რეკომენდაციები, როგორ შეირჩიონ დასამუშავებელი ტერიტორია, ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებს კი გადაეცათ დაგეგმილი სამუშაოების გეგმა-გრაფიკი, - გვითხრა ომარ ტაკიძემ.

**გვერდი მოამზადა**
**ოთარ ცინარიძემ**

# IRE–ის დელეგაცია – ბათუმის უნივერსიტეტში

***ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცნობით, ბსუ-ს ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის (IRE) დელეგაცია ეწვია***

ინსტიტუტის პრეზიდენტი, პროფესორი ფრანც შაუსბერგერი, ინსტიტუტის პოლიტიკის საკითხში მრჩეველი სტეფან ჰაბოკი, ინსტიტუტის გენერალური მდივანი, დოქტორი იოაჰიმ ფრიცი და ინსტიტუტის მმართველი გუნდის წევრი, დოქტორი ჰელმუთ ჰალშლეჰნერი ბსუ-ის რექტორ მერაბ ხალვაშს, პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს შეხვდნენ.

„ვიზიტის ფარგლებში ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის IRE-ის პრეზიდენტმა, პროფესორმა ფრანც შაუსბერგერმა ლექცია წაიკითხა ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის, ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობის თემაზე და საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესი შეაფასა. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და მომხსენებლმა აქტუალურ შეკითხვებს უპასუხა.




ევროპის რეგიონთა ინსტიტუტი (IRE) არის ეკონომიკური და სამეცნიერო ორგანიზაცია, რომელიც 2004 წელს ავსტრიაში, ქალაქ ზალცბურგში დაარსდა და აერთიანებს ევროპის 23 სახელმწიფოს 130-ზე მეტ რეგიონს, ქალაქსა თუ დაწესებულებას. ორგანიზაციაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა 2012 წელს გაწევრიანდა“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

**ამირან გურიელიძე**



# ჰააგის სასამართლოს ისტორიული გადაწყვეტილება სამართლიანობის აღსადგენად

მე-3 გვერდიდან

**- დაბოლოს, ყველა დიდი ომის შემდეგ მსოფლიოს ახალი გადანაწილება ხდება, ამ მხრივ ჩვენი ქვეყნის მომავალი როგორ გესახებათ?**

- ჩვენს დღევანდელ საგარეო პოლიტიკაში ვერ ვხედავ მკაფიო გადაწყვეტილებას ამ მიმართებით, ამიტომ ძალიან მიჭირს ამაზე საუბარი, თუმცა ფაქტია, რომ ჩვენც იმ კატეგორიის ქვეყნებში შევდივართ, რომლებსაც რუსეთისგან მიადგათ ძალიან დიდი ზიანი, ამიტომ იმედია, ჩვენი პარტნიორები უფრო მეტს გააკეთებენ ჩვენთვის, რადგან საქართველოს სტრატეგიული მდგომარეობა იძლევა ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტის შესაძლებლობას, ისე, როგორც რუსეთს არ უნდა. რაც შეეხება მსოფლიოს ახალ გადანაწილებას, ამაზე რთულია საუბარი იმიტომ, რომ არავინ საუბრობს ამაზე ღიად. ახალ საერთაშორისო წესრიგზე საუბარი, განხილვა ანალიტიკურ და სამეცნიერო წრეებში არ მსმენია. ჯერ აქტუალურია ომის დასრულება, ანუ რუსეთმა უნდა გაიყვანოს ჯარი უკრაინიდან, ეს ქვეყანა ითხოვს ამას, პირველი პირობა არის ეს! ომის დასრულების შემდეგ, რა თქმა უნდა, მსოფლიო საერთაშორისო სამართლის ნორმები შეიძლება შეიცვალოს. რაც შეეხება უსაფრთხოების სისტემას, ის მსოფლიოს მასშტაბით არა მგონია შეიცვალოს, თუმცა აუცილებლად შეიცვლება ევროპის მასშტაბით. ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურა სხვანაირად ჩამოყალიბდება იმიტომ, რომ ის ძველი არქიტექტურა რაც 1991 წელს დამკვიდრდა, ანუ ეუთოს პრინციპზე დაფუძნებული, დაიშალა. რუსეთმა უგულებელყო ყველა ის ნორმა, რასაც ეფუძნებოდა ეუთო, ამიტომ ახლა უნდა განახლდეს ეს ყველაფერი. საკითხი ასე დგას: ეს უნდა მოხდეს რუსეთის გარეშე, ან რუსეთთან ერთად, ოღონდ გაკონტროლდეს მისი ქმედებები, რათა აგრესიის საშუალება არ მიეცეს. ერთი ნამდვილად ვიცი, არსებული საერთაშორისო არქიტექტურა აუცილებლად შეიცვლება, ეტყობა, უკვე ფინეთი და შვედეთი შედიან ნატოში - ეს ყველაფერი ამაზე მიანიშნებს.

**გაზეთი «აჭარა» გთავაზობთ ნებისმიერი სახის დიზაინერულ მომსახურებას, დიზაინის თანამედროვე სტილში გადაწყვეტას, რეკლამის გაფორმებას, შერჩევას. დიზაინის დამზადების მსურველებმა მიმართეთ გაზეთ «აჭარის» სარეკლამო სამსახურს. ტელ: 27 48 93.**

# პუტინს ბელარუსის ტერიტორიაზე ტაქტიკური ბირთვული იარაღი შეაქვს (?!)

რამდენიმე დღის წინ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა გვამცნო, რომ ბელარუსის ტერიტორიაზე ტაქტიკურ ბირთვულ იარაღს შეიტანს, ამასთან „განგვიმარტა“, რომ ეს წინააღმდეგობაში არ მოდის არსებულ შეთანხმებასთან, რომელიც იარაღის გაუვრცელებლობის ვალდებულებას გულისხმობს. ვეცდებით, მკითხველს გავაცნოთ, რა საფრთხეს წარმოადგენს რუსეთის ტაქტიკური ბირთვული იარაღი უკრაინისთვის და, ზოგადად, მსოფლიოსთვის.

აშშ-ის ხელისუფლება თვლის, რომ ეს საფრთხე გლობალური და აშკარაა. ამგვარი საშიშროება მსოფლიოს 1962 წლის კუბის კრიზისის შემდეგ არ დამუქრებია, კრემლი კი „გვამშვიდებს“, რომ რუსეთის პრეზიდენტის პოზიციაზე არასწორად ვრეაგირებთ.

უკრაინას ამასთან დაკავშირებით საფრთხის ყველაზე დიდი მოლოდინი აქვს, რადგან მისი და დასავლელი მეგობრების ვარაუდი რუსეთის მხრიდან ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენების თაობაზე რეალურ კონტურებს იძენს. პუტინმაც და მისმა გარემოცვამაც ხომ ღიად განაცხადეს, რომ რუსეთი მზადაა, თავის დასაცავად მის ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობა გამოიყენოს.

მაინც რა არის ტაქტიკური იარაღი და რატომ უნდა გვეშინოდეს მისი?

ამ სახელწოდებასთან დაკავშირებით ბევრს კამათობენ. ძირითადად, ამბობენ, რომ ესაა ბირთვული იარაღი, რომელსაც კონკრეტული ტაქტიკური მიზნით იყენებენ და არა რომელიმე, ვთქვათ, დიდი ქალაქის გასანადგურებლად. ვინ შეიძლება იცოდეს, ზუსტად რამდენ ასეთ იარაღს ფლობს რუსეთი?



ალბათ ძალიან ცოტამ. რუსეთს სიმართლის საიდუმლოდ შენახვის დიდი გამოცდილება აქვს.

არადა, მაინც ბევრი ფიქრობს, რომ კრემლის განკარგულებაში ვაშინგტონზე ათჯერ მეტი ტაქტიკური ქობინია. ტაქტიკური ბირთვული ქობინი სხვადასხვა ტიპის რაკეტაზე (ფრთოსანი რაკეტები, საარტილერიო ჭურვები) შეიძლება განთავსდეს და მას იყენებენ ასაფეთქებელი ნივთიერებების მიწოდებისთვის. მათი გასროლა შესაძლებელია თვითმფრინავებიდან და გემებიდან.

აშშ-ის 200 200 ტაქტიკური ბირთვული იარაღის ნახევარი ევროპის ტერიტორიაზეა დანაწილებული - 0,3-იდან 170 კილოტონამდე სიმძლავრის ატომური ბომბები განლაგებულია იტალიის, გერმანიის, თურქეთის, ნიდერლანდებისა და ბელგიის საჰაერო ბაზებზე.

შედარებისთვის შეიძლება გავიხსენოთ, რომ იაპონიის ქალაქ ჰიროსიმაში 1945 წელს აშშ-ის მიერ ჩამოგდებული ბომბი მხოლოდ 15 კილოტონა იყო და რა შემზარავი შედეგები მოუტანა მოსახლეობას, კარგადაა ცნობილი.

ბუნებრივია, ძალიან აქტუალურია კითხვა - ვის შეუძლია გასცეს ტაქტიკური იარაღის გამოყენების ბრძანება რუსეთის ფედერაციაში? ეს კითხვა დამოკლეს მახვილივით ჰკიდია მსოფლიოს თავზე.

როგორც რუსეთის ბირთვულ დოქტრინაში წერია, სტრატეგიული და არასტრატეგიული ბირთვული იარაღის გამოყენებაზე საბოლოო გადაწყვეტილებას პრეზიდენტი იღებს.

საგულისხმოა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდში, 1991 წელს, რუსეთი დაახლოებით 22 000 ტაქტიკურ ბირთვულ იარაღს ფლობდა, აშშ - 11 500-ს, მაგრამ ისინი განადგურდა ან ჯერ კიდევ ამ პროცესშია. რაც დარჩა, 30 სამხედრო ბაზაზეა გადანაწილებული და რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მეთორმეტე სამმართველოს დაქვემდებარებაშია, რომელსაც იგორ კოლესნიკოვი მეთაურობს და ის უშუალოდ თავდაცვის სამინისტროს ქვეშევრდომია.

სავარაუდოდ, სანამ ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენებას გადაწყვეტდეს, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ამ საკითხზე ჯერ რუსეთის უშიშროების საბჭოსთან მოითათბირებს, შემდეგ გენერალურ შტაბს მისცემს განკარგულებას ქობინის გამზადების შესახებ, მერე კი ყველაფერი საბოლოო ბრძანებაზე იქნება დამოკიდებული.

რასაკვირველია, მოსკოვმა არ იცის, როგორ პასუხს მიიღებს აშშ-იდან, მაგრამ მოემზადება მთელი ბირთვული პოზიციის შეცვლით, ანუ წყალქვეშა ნავები ზღვაში განლაგდება, სარაკეტო ძალებიც სრულ მზადყოფნაზე გადავა, ხოლო ბაზებზე სტრატეგიული ბომბდამშენები მეყსეული აფრენისთვის მოემზადება.

სხვათა შორის, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბელარუსში, ყაზახეთსა და უკრაინაში დანაწილებული საბჭოთა ბირთვული არსენალი რომ რუსეთს დაბრუნებოდა, აშშ-მა ძალები არ დაიშურა. მას შემდეგ რუსეთს არ განუცხადებია, რომ თავის საზღვრებს მიღმა განათავსებდა ბირთვულ იარაღს, თუმცა დღეს ბელარუსში სწორედ ამგვარი იარაღის განლაგებაზე საუბრობს. პუტინს უნდა დაგვარწმუნოს, რომ ეს არსებულ შეთანხმებას არ ეწინააღმდეგება.

ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების შესაბამისად ბირთვული იარაღის მფლობელ ქვეყანას უფლება არა აქვს, ეს იარაღი ან ატომური ტექნოლოგია გადასცეს იმ სახელმწიფოს, რომელსაც ბირთვული იარაღი არ გააჩნია. ამ ხელშეკრულებით დასაშვებია ამგვარი არსენალის განთავსება ქვეყნის საზღვრებს გარეთ, ოღონდ მისი კონტროლის ქვეშ. სწორედ ამ პირობის შესაბამისად აქვს განთავსებული აშშ-ს თავისი ბირთვული იარაღი ევროპაში. როგორც ვხედავთ ამ ხელშეკრულების ორაზროვნებას შესანიშნავად გამოიყენებს რუსეთიც, რაც მისი მხრიდან ბირთვული იარაღით მუქარას მეტ ძალას ანიჭებს.

მოამზადა
**მარი მიდასელმა**

**მთავარი რედაქტორი**
**მარინა მითაიშვილი**

**გამომშვები რედაქტორი**
**ირმა შერვაშიძე**

**ლიტერატურული რედაქტორი**
**ეთერ ხომერიკი**

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

**გამომცემელი** - შპს «გაზეთი აჭარა და ადჭარია»
**პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»**
**მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3**

**მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა**
**ტელ: 27-13-31**
**აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში**
**დასაბეჭდად ხელმოწერილია 31/03/23, 20 55 სთ.**

**დირექტორი**
**მამუკა ბერიძე**

# პიანისტი ვალერიან შიუკაშვილი – ბათუმში

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ჩვენს ქალაქში ორ დღეს იმყოფებოდა ცნობილი ქართველი პიანისტი ვალერიან შიუკაშვილი. მან პირველ დღეს ბათუმის ხელოვნების ცენტრში სოლო კონცერტი გამართა, მეორე დღეს კი მისმა ხელოვნების აკადემიამ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის დიდ საკონცერტო დარბაზში, ახალგაზრდა თაობის აღზრდასა და რეგიონში კლასიკური მუსიკის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის ღვაწლმოსილი პედაგოგები დააჯილდოვა. პიანისტმა მასტერკლასიც გამართა. საერთაშორისო ხაზით, ხელოვნების აკადემიამ მუსიკის დოქტორის წოდება პროფესორ ირინა ხერჟს მიანიჭა.

ხელოვნების აკადემიის გარდა (რექტორი ვალერიან შიუკაშვილი), საპატიო სიგელებს ხელს აწერენ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია (მერი არჩილ ჩიქოვანი), აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო (მინისტრი მაია ხაჯიშვილი).



ბულ პიანისტს არაერთი წარმატება ხვდა წილად - არის საერთაშორისო კონკურსების, ფესტივალების ლაურეატი და გამარჯვებული. 1998 წელს ისრაელში საერთაშორისო ფესტივალის პირველი პრემია მიენიჭა, ხოლო 2001 წელს მარია იუდინას სახელობის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსზე გრან-პრი მოიპოვა. ის არის ხელოვნების აკადემიის რექტორი, ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალური ცენტრის სოლისტი, საერთაშორისო პროგრამა „ახალი სახელების“ ლაურეატი. მისი სახელი შეტანილია „XXI საუკუნის ვარსკვლავების“ წიგნში.

ვალერიან შიუკაშვილი რეგულარულად ატარებს საინტერესო მასტერკლასებს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. მას იწვევენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში კონკურსების ჟიურის წევრად. არის ნოდარ გაბუნიას სახელობის პიანისტთა ეროვნული და საერთაშორისო კონკურსების დამაარსებელი, გენერალური დირექ-



...ვალერიან შიუკაშვილმა დაკვრა 12 წლის ასაკში დაიწყო. როგორც ნიჭიერმა მოზარდმა, სწრაფად მოიხვეჭა სახელი და სულ მალე თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში ორკესტრთან ერთად მოცარტის 23-ე კონცერტი შეასრულა. ეს პატარა პიანისტისთვის უდიდესი წარმატება იყო, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენილა. სწორედ ამის შემდეგ, მან დიდი საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. იგი ერთ-ერთი იმ ხელოვანთაგანია, რომელმაც საქართველო მსოფლიოს დიდი საკონცერტო დარბაზების სცენიდან გააცნო. გამორჩეული ნიჭითა და გემოვნებით დაჯილდოე-

ტორი. ხელოვნების აკადემიის ფარგლებში, ხელს უწყობს ახალგაზრდა თაობის აღზრდას.

ხელოვნების ცენტრში ვალერიან შიუკაშვილის სოლო კონცერტი სალონური საღამოს ფორმით ჩატარდა - დიდი ხელოვანი თაყვანისმცემლებით გარშემორტყმულ სცენაზე იჯდა და თავდავიწყებით, მაღალი პროფესიონალიზმით უკრავდა მსოფლიოში აღიარებული კომპოზიტორების ნაწარმოებებს. ბათუმელები კიდევ ერთხელ გაგვაოცა ამ ბრწყინვალე მუსიკოსმა, რომელიც დროდადრო მაყურებლის შეკითხვებსაც პასუხობდა.

კითხვაზე, რომელია უფრო მნიშვნელოვანი - ავტორი, შემსრულებელი თუ მსმენელი და რამდენჯერ იყო მის ცხოვრებაში სამივე ერთ დონეზე, რაც იშვიათად ხდება, პიანისტმა უპასუხა: „ეს იყო ისრაელში, სადაც კონკურსი მოვიგე. პირველ განყოფილებაში ბახის ინგლისურ სუიტას ვუკრავდი, მეორეში - შუმანის ნაწარმოებს და მახსოვს, დარბაზიდან როგორ მესმოდა მსმენელის „სრუტუნი“, მე თვითონაც მომდიოდა ცრემლები და პირველად „შევჩივლე“ კომპოზიტორს, რატომ მთავრდებოდა ეს ნაწარმოები ასე ადრე. ეს იყო, ალბათ, განცდა, ადამიანი ცხოვრების შემდეგ სამოთხეში რომ ხვდება“.

ერთ-ერთმა მსმენელმა მადლობა გადაუხადა მუსიკოსს საღამოსთვის, რომელსაც „მუსიკალური მოგზაურობა საქართველოში ვალერიან შიუკაშვილთან ერთად“ უწოდა თავისი საინტერესო ფორმატის გამო. მანვე აღნიშნა, რომ ყველა შემდგარ შემსრულებელს საკუთარი ხელწერა, ხედვა აქვს და ჰკითხა, დადებითად აფასებდა ამ ინდივიდუალიზმს თუ უარყოფითად.

- საერთოდ, მთელი ცხოვრება „არანორმალური“ ვიყავი, ყველაფრის ჩემებურად გაკეთება მინდოდა და, ალბათ, დროთა განავლობაში ეს ჩამოყალიბდა როგორც ჩემეული დაკვრის სტილი, მანერა. როცა ჩემ მიერ შესრულებულ ნაწარმოებს ვუსმენ, ვერ ვიტყვი, რომ რაღაც განსაკუთრებულს ვაკეთებ, პირიქით, მგონია, სხვა პიანისტებზე ცუდად ვუკრავ, - უპასუხა ვალერიან შიუკაშვილმა, მაღალ დონეზე ჩატარებულმა საღამომ კი პირიქით, მის გენიალურობაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა.

გთავაზობთ მსმენელთა შთაბეჭდილებებს.

**აკაკი ძნელაძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე:**

- ფანტასტიკური პიანისტია, სასწაულად, განსხვავებულად უკრავს მოცარტი იქნება ეს თუ ბახი. თავად აღნიშნა, რომ განსხვავებული დაკვრა ზოგჯერ თავად არ მოსწონს, მაგრამ მსმენელის ყურს სასწაულებრივად ხვდება. მთავარი კი ამ შესრულებაში ისაა, რომ გამახსოვრდება, არ გავიწყდება.

**ირინა ხერჟი, პროფესორი:**

- შესანიშნავი პიანისტია, ინდივიდუალიზმით, მუსიკალურობით, ნიჭიერებით გამორჩეული, რაც უდიდეს სიამოვნებას განიჭებს. მას თბილისიდან ვიცნობ. ბავშვობაშიც ასეთივე ტალანტი იყო, გვიან დაიწყო, მაგრამ, ნიჭის წყალობით, სწრაფად გამოიჩინა თავი.

**სოფო ხალვაში, ქალაქ ბათუმის ვიცე-მერი:**

- დიდი ხანია ვიცნობ და მიხარია პირველ რიგში ის, რომ მისი მეგობარი მქვია. ის დიდი ადამიანი, კარგი მეგობარია. დღეს დიდი სიხარული მოგვანიჭა ყველას, გაგვანებივრა კარგი საღამოთი. მთელი გულით ვუსურვებ ყველაფერ საუკეთესოს, მან ეს დაიმსახურა როგორც პირად ცხოვრებაში, ისე იმ სამყაროში, რომელშიც ასე ლამაზად გვამოგზაურებს ჩვენც.

**ნანა შალაძე, პედაგოგი:**

- ეს არის ინდივიდუალური მუსიკოსი, პირველ რიგში კი პიროვნება და ძალიან ნიჭიერი ადამიანი. დღეს ყველამ ისიამოვნა,

**ნინო ჩაიძე, ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის დირექტორი:**

- შესანიშნავი საღამო იყო, მინდა მადლობა გადავუხადო იმ ჩანაფიქრისთვის, რაც ჩვენს სამუსიკო სკოლაში განახორციელა - აჭარაში მოღვაწე პედაგოგების დაჯილდოება და მასტერკლასის გამართვა. შესანიშნავი მუსიკოსია, ინდივიდუალიზმით გამორჩეული, ბუნებრივი, სადა და როგორც პიროვნება - განსაკუთრებული. იშვიათობაა, პროფესიონალიზმის და პიროვნული თვისებების ასე შერწყმა. წარმატებები მინდა ვუსურვო მას, ბევრი სასიკეთო საქმე ეკეთებინოს.

**ლალი ჭელიძე, ხელოვნების უნივერსიტეტის პროფესორი:**

- 21-ე საუკუნის მოვლენაა ვალერიან შიუკაშვილი. საღამო იყო თბილი, რომანტიკული, მონატრებული ვართ ასეთ შესრულებას და კარგი პიანისტების მოსმენას. ის ხშირად მოგვიწვევია კონკურსებზე. არაჩვეულებრივი პიროვნება, მუსიკოსი და პედაგოგია. ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი ადამიანები.

**ქეთევან მანელიშვილი, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის დირექტორის მოადგილე შემოქმედებითი მიმართულებით:**

- ჩემი და ვალერიანის იდეა იყო, ბათუმში ჩაგვეტარებინა საფორტეპიანო კონცერტი განსხვავებული ფორმატით - სცენაზე მოვაწყვეთ დარბაზი 120-140 მსმენელზე. მნიშვნელოვანია, რომ ხელოვნების აკადემიამ მადლობის სიგელით „თავისუფალი პროექტის“ ფარგლებში აჭარაში მოღვაწე 120-მდე პედაგოგი დააჯილდოვა. მას გამორჩეულად თბილი დამოკიდებულება აქვს მოსწავლეებთან, სენაკში ატარებს მნიშვნელოვან მუსიკალურ ფესტივალს, მანამდე კი ჩადის რაიონებში და ნიჭიერ ნორჩ მუსიკოსებს არჩევს. ეს ყველაფერი კეთდება სითბოთი და სიყვარულით, გამარჯვებულებს სტიპენდიასაც უნიშნავს.

- გაოცებული და ბედნიერი ვარ იმით, რომ დღეს ამდენი პედაგოგი იყო ამ დარბაზში, ერთი მეორეზე საუკეთესო. მინდა, პირველ რიგში, მათ ჯანმრთელობა ვუსურვო. იცხოვრონ ისე, როგორც ახლა ცხოვრობენ, რადგანაც ძალიან დიდ საქმეს აკეთებენ მუსიკის სფეროში, - გვითხრა ვალერიან შიუკაშვილმა.



# მერი არაბიძე ევროპის ჩემპიონია

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

მონტენეგროში დასრულდა რიგით 23-ე ევროპის ქალთა ინდივიდუალური ჩემპიონატი ჭადრაკში, რომელიც შვეიცარიული სისტემით, 11 ტურად ჩატარდა. ღონისძიებაში ევროპის 34 ქვეყნის ფედერაციიდან 136 მოთამაშე მონაწილეობდა, მათ შორის საქართველოდან - 8 მოჭადრაკე.

წარმატებით იასპარეზა მერი არაბიძემ, რომელმაც 11-დან 8,5 ქულით ევროპის ჩემპიონის ტიტული დაისაკუთრა.

აღსანიშნავია ბათუმელი მოჭადრაკე სალომე მელიას თამაში, რომელმაც 11-დან 8 ქულით მესამე-მეხუთე ადგილები ორ პოლონელ და ერთ გერმანელ მოჭადრაკესთან გაიყო და მსოფლიო თასის ლიცენზია მოიპოვა.

კიდევ ერთმა ქართველმა ლელა ჯავახიშვილმა ითამაშა წარმატებულად - 11-დან 7,5 ქულით მეშვიდე ადგილი დაიკავა და მსოფლიო თასის ლიცენზია მანაც მოიპოვა, რომელსაც წელს აზერბაიჯანის დედაქალაქი 31 ივლისიდან უმასპინძლებს.

ვულოცავთ ჩვენს გოგონებს ევროპის ჩემპიონატზე წარმატებულ გამოსვლას.




# „მეც თქვენნაირად ვიფიქრებდი...“



Geo Team-ის ცნობით, დათა ხოჭოლავას მენისკის ოპერაცია არ გაუკეთებია, არადა, საქართველოს ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე სწორედ ამ მიზეზით ვერ დაეხმარა. ამას დიდი ხმაური მოჰყვა. „მესმის გულშემატკივრების. სიტუაცია, რომელიც ჩემ გარშემოა, ძალიან უცნაურად ჩანს და მეც, როგორც ქომაგი, თქვენნაირად ვიფიქრებდი. არის მომენტები, რომლებიც ხანდახან რთული დასაჯერებელია. „ვიბორგთან“ მატჩის მეორე დღეს კორონავირუსი მესამედ დამიდასტურდა, 5 დღე ვიწექი და ამ პერიოდში მუხლი ჩაწყნარდა. „კოპენჰაგენმა“ გადაწყვიტა, გამეკეთებინა სტეროიდის კურსი სახსარში და სანამდეც გავქაჩავდი და არ დავეცემოდი, გამაყუჩებლით მეთამაშა. აქამდეც ბევრჯერ მითქვამს და ახლაც ვამბობ: საქართველოს ნაკრების შეკრებაზე ყოფნისას თავს ყველაზე ბედნიერ ფეხბურთელად ვგრძნობ. ეს ასე იყო წარსულში, ასეა ახლა და ასე იქნება სამუდამოდ, სანამ დავით ხოჭოლავას ფეხბურთელი ერქმევა“, - განაცხადა დათა ხოჭოლავამ.

**ამირან გურიელიძე**